№ 2823
ხუთშაბათი,
19 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2823
ხუთშაბათი,
19 მაისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

САВАЧРО САХЛИ

სავაჭრო სახლი
ა. ვ. პაიდამაკინისა და ამხ.-ისა

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ შევიძინეთ მთელი საქონელი ამიერ-კავკასიის საწყობებისა, რომელიც ეკუთვნოდა შემდეგ ქაღალდის ქარხნების ადმინისტრაციას: ქაღალდის ქარხანას გ. ი. პალლიზენს და კომპ., რჟევის ქაღალდის ქარხნის ამხანაგობას და კოშელევის ქარხნების სააქციონერო საზოგადოებას.

გარდა ამისა ჩვენი სავაჭრო სახლი წარმომადგენელია **ფინლიანდიის საუკეთესო ქარხნებისა**, რომელნიც ეკუთვნიან სააქციონერო საზოგადოებას **კიუმმენეს, კუზანოვსკისა და ვოიკისას**, სადაც მზადდება ყოველ წელს სხვა-და-სხვა ხარისხის ქაღალდები, ფოსტის, საწერი, სასტამბო, საალბომო და სხვა, ექვს მილიონ მანეთზე მეტად ღირებული; აგრეთვე რუსეთის ქარხნების—**სოლოვიოვისა და კროტოვის** გორბატის ქაღალდის ქარხანათა ამხანაგობისა, სადაც მზადდება უმაღლესი ხარისხის ფოსტის, საწერი და სხვა ქაღალდი, და **ნ. ნ. ბრაკერის** ქარხნისა, სადაც მზადდება სახვევი ქაღალდები და პარკები.

ვურჩევ რა შეიძინონ ზემო აღნიშნულ ქარხნების ქაღალდი, ვსთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ჩვენ სავაჭრო სახლს, კეთილ ინებოს და დაგვიკვეთოს საქონელი. თვითეულ დაკვეთას ავასრულებთ ბეჯითად და კეთილ-სინიდისიერად.

გოლოვინის პროსპექტი, მანთაშევის სახლი. (10—8)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—28)

რესტორანი
„ფუნიკულერი“.
1 ს. 5 ს. სადილი 4 ბლუდი 1 მ.
სადილი 19 მაისისთვის

დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილი მზარეული მ. მიშელისგნით.
1. ბორჩი ბავარულად.
2. სუფი პირე სტაციურით, პიროჟკებით.
3. კატლეტ ვილერვა.
4. ზუთხი შემწვარი.
5. მაროჟნი სლივკით.
და 6. ყავა.

მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა ღამის 11 საათამდე.

5 სათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი 3-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმისტერ ფიდელმანის ზედამხედველობით.

(0—10) პატრონი ნ. ტ. ჩიკვაიძე

ახალი ბუფეტი
„არარატი“
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჰიქა არაყი და ერთი ჰიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.

(თვ.—6.—3) პატივის ცემით ვანო.

გაიღო რესტორანი ბაღით
„ბანდევილი“
(მეორ ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—208—9)

მაისის 14 რკინის გზის თეატრში გ. მჭედლიშვილის მეთაურობით წარმოადგინეს ჩემი ახალი პიესა

ბრძოლა არსებობისთვის.

რადგანაც თავიანთი ცუდი თამაშით პიესას დედა აზრი სულ დაუკარგეს, ამისათვის ვსთხოვ და ვუცხადებ პატივცემულ სცენის მოყვარეებს, რომ ჩემდა-ნება დაურთველად აღარ შეეძლოთ ამ პიესის დადგმა.

(3—3) დ. გაბრუაშვილი.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (306.—9)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—8)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—210)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
17 მაისი.

ტოკიო. საზღვაო ბრძოლის შესახებ მოსულმა ცნობებმა ძლიერი სენსაცია მოახდინეს. არავინ არ ელოდა, რომ იაპონელებს ასეთი მცირე ზარალი მოუვიდოდათ. იაპონიის გემების სწრაფლმა სიარულმა გადააჭარბა რუსების გემების სიარულის სიჩქარეს. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ხელს უწყობდა იაპონიის ნაღმოსნების მოქმედებას. იაპონელები მისდევენ რუსებს. ბრძოლაში მონაწილეობას რუსების სულ 26 გემი იღებდა.—საღამოთი ბირჟაზე ქაღალდების ფასი ძლიერ ასწიეს.

ნიუ-იორკი. 17 მაისი. თანახმად ამერიკის საზღვაო ტოკიოელ აგენტის მოხსენებისა, რუსის ესკადრა ორ კალონათ იყო გაყოფილი და ისე მიდიოდა კორეის სრუტეში, როცა იაპონელებმა იერიში მიიტანეს მაზე: მარჯვნივ მიდიოდნენ საესკადრო ჯავშნოსნები, მარცხნივ კრეისერები. წინ მიდიოდა „ჟემჩუგი“, მას მისდევდა „ბოროდინო“, „ორიოლი“, „კნიაზ „სუვოროვი“, „იმპერატორი ალექსანდრე მე-III“-ე“, „ოსლიაბია“, სისოი ველიკი“, „ნავარინ“-ი და „ნიკოლაი I“; შემდეგ მიდიოდნენ „ადმირალ უშაკოვ“-ი, „ადმირალ სენიავინი“ და „გენერალ აპრაქსინი“.

ვაშინგტონი, 16 მაისი. იაპონიის მისიის წევრების სიტყვით იაპონიაში ის აზრია, რომ უკანასკნელ ბრძოლას შედეგათ ზავის ჩამოგდება მოჰყვებაო. მოლაპარაკება ვაშინგტონში უნდა დაიწყოს. ადმ. დიუიც წინასწარმეტყველობს ზავს.—ბრიტანიის ტოკიოელი ელჩი მოხსენებას ჰგზავნის, გემი ჩაძირული ადმ. როჟესტვენსკის მიერ, ეკუთვნოდა ბრიტანიას და არა ამერიკასო.

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წ. 17 მაისის თარიღით: „მტრის რაზმმა, რომელსაც 12 მაისს სიმიაჩენი ეჭირა, 13 მაისს ღამით გასწმინდა ეს სოფელი და სამხრეთით წავიდა აიშილიპუსაკენ. მოწინააღმდეგე შეეცადა გაეფანტა 12 მაისს ჩვენი მოდარაჯენი მარცხენა ფრთიდან, მაგრამ უკუგდებულ იქნა.

პარიზი, 17 მაისი. შანხაიდან მოსულ დეპეშის თანახმად, ჩაუძირავთ იაპონელების 7 გემი, მათ რიცხვში ორი ჯავშნოსანი.

ლონდონი, 17 მაისი. სერ ჩარლზ დილკმა, რომელიც გამოჩენილი მოღვაწეა, უთხრა „დეილი ნიუს“-ის წარმომადგენელ, მაღალის აზრისა ვარ იაპონელების სიმამაცეზე, მაგრამ, ამავ დროს, არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ის შესანიშნავი გულადობა, რომელიც რუსებმა გამოიჩინეს იაპონიის ნაპირებთან გასვლის ცდაში, მით უფრო, რომ ისინი ამდენი ხანია გზაში მიდიოდნენ და გამუდმებულს შიშში იყვნენო. იმ საკვირველ სიმამაცეს, რომელიც საჭიროა ასეთ შიშთან დასახვედრათ, უეჭველია ყველა სცნობს და ჯეროვნულათ დააფასებს მას მთელი ქვეყნიერებაო.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა. იაპონიის წინააღმდეგ მომქმედ ხმელეთისა და ზღვის მთელის მხედრობის მთავარ-სარდლის ინფანტერიის გენერალის ლინევიჩის უქვეშევრდომილესი მოხსენება: „16 მაისს ვლადივასტოკს მოვიდა მეორე რანგის კრეისერი „ალმაზ“-ი; აქისმა უფროსმა შემატყობინა, რომ ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა 14 მაისს შეებრძოლა იაპონიის ფლოტს ცუსიმას სრუტეში. დღის ბრძოლაში დაიღუპნენ ჯავშნიანი გემები „კნიაზ სუვოროვ“-ი, „ბოროდინო“ და „ოსლიაბია“ და კრეისერი „ურალ“. ჯავშნიანი გემი „იმპერატორ ალექსანდრე III“ ძალიან დაზიანდა. ბრძოლის დასაწყისს დაჭრილ იქმნა თვით გენ.-ადიუტანტი როჟესტვენსკი, რომელიც სხვა გემზე გადასვეს. როცა კრეისერი „ალმაზი“ ესკადრას დაშორდა, დაღამებისას, ბრძოლა ისევ დაიწყო. ღამის ბრძოლის შედეგი ჯერ არ ვიცით. კრეისერი „ალმაზი“ დააშორეს დანარჩენ ესკადრას და ვლადივასტოკს წავიდა. დამატებითი ცნობებით, დღის ბრძოლაში ძალიან დაზიანდა სატრანსპორტო გემი „კამჩატკა“. კრეისერ „ალმაზ“-ს უნდოდა შეერთებულიყო ესკადრასთან, მაგრამ ვერ მოახერხა და ვლადივოსტოკს წავიდა. „ალმაზ“-ზე მოკლულ იქმნა ლეიტენანტი მოჩალინი და 4 მატროსი. დაჭრილ იქმნა 10 კაცი, მათგან 3 ძალიან მძიმედ. ვინ გადარჩა და ვინ იქმნა მოკლულ-დაჭრილი დაღუპულ გემებზე, ჯერ არ ვიცით“.

პარიზი, 17 მაისი. რუსების დამარცხების ამბავმა დიდი აღელვება გამოიწვია პარიზში. ეშინიანთ, ვაი თუ იაპონიამ, გამარჯვებით წაქეზებულმა, ინდო ჩინეთის დაჭერა მოინდომოსო. საფრანგეთის პრესა ერთხმად აქებს რუსების სიმამაცეს, მაგრამ ზავის საჭიროებასაც აღიარებს. გერმანულ წყაროდან მიღებულ ცნობის თანახმად, ვლადივასტოკის გზაზე ბალტიის ესკადრის გადარჩენილ გემებსა და ადმ. კამიმურას ესკადრას შორის ახალი ბრძოლა მოხდაო. ვენის პოლიტიკოსთა და დიპლომატთა წრეებს ზავის ჩამოგდების იმედი აქვთ.

ტოკიო, 16 მაისი. აქ ამბობენ, ადმ. როჟესტვენსკიმ ცუდ ბრძოლის რიგზე დააყენა თავის ესკადრა და ამით დამარცხება მოუსწრაფაო. როჟესტვენსკიმ ჯავშნიანი გემები აღმოსავლეთის მხარეს დააყენა, კრეისერები დასავლეთის მხარეს; ცენტრში კი მომეტებულ ნაწილად მეორე ხარისხოვანი გემები დააყენა. იაპონელებმა ყუმბარა დაუშინეს ცენტრსა და მალე არივ-დარიეს, რის გამოც ესკადრის ფრთებიც დამარცხდნენ. რუსის საუკეთესო გემები მალე ისე დაზიანდნენ, რომ ბრძოლა აღარ შეეძლოთ.—სასებოში 2220 ტყვე რუსის მეზღვაური მოიყვანეს, მათ შორის კრეისერ „ადმირალ ნახიმოვ“-ის უფროსი. ტყვეები ამბობენ, ვლადივასტოკის ესკადრას ბრძანება მოუვიდა ზღვაში გასულიყო, მაგრამ ხანმოკლე სიარულის შემდეგ ისევ დაბრუნდაო.

18 მაისი.

გუნჩჟულინი, 15 მაისი. (საკუთარ კორესპონ.). საზოგადო მდგომარეობა არ შეცვლილა. ამ დღეებში გუნჩჟულინიდან 20 ვერსტზე ხუნხუზების რაზმი მოსპეს.

ლონდონი, 17 მაისი. იაპონიის საელჩოს დეპეშა მოუვიდა ტოკიოდან, იაპონელების მიერ დაჭერილი რუსის გემები 17 მაისს იაპონიის პორტებში მოიყვანესო, სახელდობრ: საესკადრო ჯავშნიანი გემი „ორიოლი“ მაიძურუში, „იმპერატორ ნიკოლაი I“, „ადმირალ სენიავინი“ და „გენერალ-ადმირალი აპრაქსინი“ სასებოში.

იოკაჰამა, 17 მაისი. ვაშიშიმადან ერთი უცხო გემი მოიყვანეს 200 აფიცრითა და ჯარის-კაცით. ინუბოეს წინ რუსის გემებმა გაიარეს ჩრდილოეთისაკენ მიმავლებმა.

შანხაი, 17 მაისი. მოვიდა სანახშირე გემი „კორეია“, რომელსაც მარჯვენა გვერდი ვატერლინიასთან ძლიერ განგრეული ჰქონდა; მოვიდა აგრეთვე საბუქსირო გემი „სვირი“; ორივე ცუსიმას სრუტიდან 14 მაისს ბრძოლის დაწყების უმალ წამოსულან. ამბობენ, დაინახეს, რომ იაპონიის სამი გემი ჩაიძირა და ხუთი დაზიანდაო. რუსის გემებიდან 4 ჩაიძირა და 4 დაზიანდაო. რუსის გემების უმეტესობა სრუტეში გაიჭრა და იაპონელებისაგან დევნილი ჩრდილოეთისაკენ გაემართა.

განჯა, 16 მაისი. თავად-აზნაურთა სიეზდმა დაადგინა საყვედური გამოაცხადოს ნახიჩევანის ამბების გამო და სთხოვოს გაზეთებს, ნუ დაბეჭდვენ ხოლმე ტენდენციურ სტატიებს ბაქოს ტრაგედიის შესახებო.

ტორინი. დაიწყო სენსაციონური პროცესსი ყოფილ ობერ-ლეიტენანტ გესსადისა, რომელზედაც ეჭვია მიტანილი საფრანგეთს ჯაშუშობა. მას ბრალს სდებენ ყალბი დოკუმენტები გააკეთა და იცრუაო.

კოპენჰაგენი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ ნორვეგიის უცხოეთის კონსულებმა ინსტრუქციები მიიღეს, დროებითს მთავრობას ნუ დაემორჩილებითო.

რეველი. 200 მუშის მცხობელმა მუშაობაზე ხელი აიღო ფურნეებში; პოლიციის მოსვლის შემდეგ გაფიცულთა უმეტესობა დაიმალა.

ნოვგოროდი, 17 მაისი. მეორე დღეა ადგილობრივ სტამბების ასოთ-ამწყობებმა მუშაობა მოსპეს. ღონისძიებაა მიღებული, რომ საერთო უწესობა არ მოხდეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
17 მაისი

პარიზი, 16 მაისი. რუსების დამარცხების შესახებ ამბავმა მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ უმთავრესი დილის გაზეთები მაინც თავ-დაჭერილად სჯიან. საზოგადოდ-კი ამბობენ, საჭიროა დაველოდოთ ცნობებს იაპონელთა ზარალისა და ვლადივასტოკს მისულ რუსის გემების შესახებაო.

ბერლინი, 17 მაისი. ერთმანეთის წინააღმდეგი ცნობები მოდის გემის „სისოი ველიკის“ ბედ-იღბლის შესახებ. ნიუ-იორკიდან მიღებულ უკანასკნელ დეპეშებში ნათქვამია, გემები „სისოი ველიკი“ და „კნიაზ სუვოროვი“ დაზიანებულია, მაგრამ ხელში არ ჩაუგდიათ იაპონელებს; როჟესტვენსკი დაჭრილიაო.

ვაშინგტონი, 17 მაისი („მორნინგ პოსტი“). საზღვაო დეპარტამენტმა ოფიციალური ცნობა მიიღო, „კნიაზ სუვოროვი“ ჩაიძირაო. არ იციან სად არის ამ ჟამად როჟესტვენსკი. ტოკიოს მყოფი ამერიკის ელჩი იუწყება, 7 მაისს ბალტიის ესკადრას ამერიკის გემი-კი არ ჩაუძირავს, არამედ ინგლისისაო.

ვაშინგტონი, 17 მაისი, შანხაის მყოფი ამერიკის კონსული იუწყება, დობროვოლნი ფლოტის კრეისერი „სმოლენსკი“ ვუზუნს იმყოფებაო.

17 მაისი

ლოძი, 16 მაისი. ღამე სლეზიანკაში ხუთი ტყვიით მოჰკლეს უბნის ზედამხედველი სოლოდურინი. მკვლელები დაიმალნენ.

ბერლინი, 17 მაისი. იმპერატორმა უბოძა პრინც არისუგავას შავი არწივის ორდენი, პრინცის მეუღლეს—წითელი ჯვრის ორდენი პირველი ხარისხისა. რეიხსტაგის დღევანდელ სხდომაზე ბალესტრემმა გამოაცხადა, მთავრობამ გადასწყვიტა დახუროს სესია, რადგან ცნობებია მიღებული კამერუნის გუბერნატორისაგან, მდინარე შანგსის და ჯაჰს შუა ამბოხებაა და საქმის ვითარება საშიშარი ხდებაო. სამხედრო სადგურის ახლოს კამ კრუმერი ფოსტას იცავდა და შეტაკება ჰქონდა მეამბოხეებთან. 7 მაისს ერთი როტა წავიდა კამს. ებოლოვს დამატებით როტაა გაგზავნილი.

პარიზი, 17 მაისი („ჰავასი“). მრავლად თავმოყრილი ხალხი აღტაცებით მიეგება პრეზიდენტს და ისპანიის მეფეს. მეფეს ბეჯითად იცავენ.

პეტერბურგი, 17 მაისი. განახლდა მუშაობა ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის კომისიამ სამრეწველო გადასახადის გადასასინჯავად. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა გამოაცხადა, სასურველია კომისიაში მოვიწვიოთ ერობებისა და ქალაქების წარმომადგენელნიო. იმ აზრით, რომ კომისიის მუშაობა შემოდგომამდის არ გადადოს, როცა ერობის წარმომადგენლებს ამოირჩევენ, თავმჯდომარემ გამოაცხადა, შესაძლებელია შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგში ცალკე მოიწვიოს ერობებისა და ქალაქების წარმომადგენელნიო. კომისია შეუდგა სამრეწველო გადასახადის კანონ-პროექტის განხილვას.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლა ადმ. ტოგოსა და ადმ. როჟესტვენსკისა. იაპონურმა და რუსულმა ოფიციალურმა დეპეშებმა საკმაოდ ნათლად გამოარკვიეს დიდებულ, უმაგალითო ბრძოლის სურათი და იმისი შედეგი. საინტერესო ცნობები მოიტანეს აგრეთვე კერძო დეპეშებმაც. რუსის ადმირალს შორს მოუვლია პესკადორის კუნძულებისათვის, სადაც იაპონიის უმთავრესი ფლოტი ეგულებოდა და პირდა-პირ კორეის სრუტის გზას დასდგომია. 14 მაისს დილით რუსის ესკადრა სრუტეში შესულა, კუნძულ ცუსიმასა და იაპონიას შუა. რუსის ჯავშნიანი გემები მარჯვენა მხარეს მიდიოდნენ თურმე, კრეისერები მარცხენა მხარეს, შუაში უფრო ძველი, ნელა მავალი, მეორე ხარისხოვანი გემები იდგნენ. ჰფიქრობენ, რუსის ადმირალმა განზრახ აირჩია ეს მოკლე და საშიში გზა იაპონიის ახლო იმ იმედით, რომ იქნება იაპონელები აქ, ამისთანა საშიშ ადგილს, არ მელოდნენო. მაგრამ ადმ. ტოგო მოზამპოსთან მდგარა თავის უმთავრეს ფლოტით, კუნძულ ცუსიმადან დაახლოვებით 45 მილის სიშორეზე, დასავლეთით. გაუგია თუ არა რუსის ესკადრის მოსვლის ამბავი, იაპონელი ადმირალი ყველა თავის ძლიერ მებრძოლ გემით სწრაფად გაქანებულა, კუნძულ ცუსიმასთვის ჩრდილოეთიდან მოუვლია და კუნძულ ქინოსიმასთან, ცუსიმას სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსის ძლიერ და მრავალ რიცხოვან ესკადრას დასცემია. რუსებს სულ 26 სამხედრო გემი ჰყოლიათ, ამათ შორის 11 ჯავშნოსანი. რამდენი გემი ჰყავდა იაპონელ ადმირალს, ეს დეპეშებიდან არა სჩანს. იაპონელებს საშინლად დაუშენიათ ყუმბარა რუსის ესკადრის მარცხენა ფრონტისა და მარჯვენა ფრთისათვის, ცენტრი გაურღვევიათ და რუსები იაპონიის ნაპირებისაკენ მიურეკიათ. იქაც იაპონიის გემები ელოდნენ, თურმე; ესენიც მარჯვენა მხრიდან დაეცნენ და რუსის ესკადრა შუაში მოიმწყვდიეს. მზის ჩასვლამდე ძალზე გამწვავებული ბრძოლა ყოფილა. დღისით იაპონელებს 3 რუსის ჯავშნიანი გემი ჩაუძირავთ „სუვოროვი“, „ბოროდინო“, „ოსლიაბია“ და კრეისერი „ურალი“ და დანარჩენი გემებიც ძალზე დაუზიანებიათ. მზის ჩასვლის შემდეგ იაპონიის ნაღმიან გემებს მიუტანიათ იერიში და დიდი ზარალიც მიუციათ რუსის გემებისათვის. ჰფიქრობენ, რუსის გემები უმთავრესად ნაღმიან გემების ნასროლ ნაღმმა ჩაძირაო. აქედან სჩანს, რომ იაპონელ ნაღმოსნებს დღისით ბრძოლაშიაც მიუღიათ მონაწილეობა.

რუსის ესკადრის გადარჩენილი ნაწილი ვლადივასტოკისაკენ წასულა, იაპონიის სწრაფლ მავალი გემები დასდევნებიან და 15 მაისს დილით ხელ-ახლად დასცემიან დაზიანებულ რუსის გემებს; 4 ჯავშნიანი გემი: „ორიოლი“, „იმპერატორ ნიკოლაი I“, „ადმირალ სენიავინი“ და „გენერალ-ადმირალი აპრაქსინი“ ტყვედ დაუჭერიათ; ჯავშნიანი კრეისერი „ვლადიმირ მონომახი“-ც ხელში ჩაუგდიათ, მაგრამ მალე ჩაძირულა,—ალბად, ძლიერ იყო დაზიანებული.

ბალტიის ესკადრის ნაშთი მაინც წასულა ვლადივასტოკისაკენ, მაგრამ გზაზე ადმ. კამიმურა დასცემია და ხელ-ახლად ბრძოლა მომხდარა. რით გათავებულა ეს ბრძოლა, ამაზე არავითარი ცნობა არაა დეპეშებში. ვლადივასტოკში, როგორც სჩანს, 16 მაისამდე მხოლოდ მეორე კლასის კრეისერი, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, იახტა „ალმაზი“ მისულა და 14 მაისის ბრძოლის ამბავი მიუტანია. „ალმაზი“ იაპონელებს დანარჩენ ესკადრისავის მოუწყვეტიათ და ამიტომ ძალა-უნებურად ვლადივასტოკს წასულა; „ალმაზი“ მარტო 14 მაისს დღისით მომხდარ ბრძოლას დასწრებია, შემდეგი ამბებიკი აღარ სცოდნია.

18 მაისს დილამდე მიღებულ დეპეშებიდან ნათლად გამოირკვა, რომ ადმ. ტოგოს მთლად გაუნადგურებია რუსის ფლოტი. რუსის 11 ჯავშნიან გემიდან იაპონელებს „კნიაზი სუვოროვი“, „ბოროდინო“ და „ოსლიაბია“ ჩაუძირავთ; „ორიოლი“, „იმპერატორ ნიკოლაი I“, „ადმირალ სენიავინი“ და „გენერალ-ადმირალი აპრაქსინი“ ტყვედ დაუჭერიათ და 17 მაისს იაპონიაში მიუყვანიათ; „ალექსანდრე III“ ძლიერ დაზიანებულა 14 მაისის ბრძოლაშივე და მისულა ვლადივასტოკამდე თუ არა, ამაზე არას იუწყებიან. რა მოუვიდათ ჯავშნიან გემებს „სისოი ველიკი“-სა, „ნავარინ“-სა და „ადმირალ უშაკოვ“-ს, არც ესა სჩანს დეპეშებიდან. ჯავშნიან კრეისერებიდან „ვლადიმირ მონომახი“ ჩაძირულა, „დმიტრი დონსკოი“-სა და „ადმირალ ნახიმოვ“-ზე-კი ცნობა არ მოსულა, მაგრამ „ნახიმოვ“-ის უფროსი იაპონელებს ტყვედ წაუყვანიათ და, შეიძლება, თითონ კრეისერიც ან დაღუპული ან დატყვევებული იყოს. ამას გარდა, 14 მაისსავე იაპონელებს მაშველი კრეისერი „ურალი“ ჩაუძირავთ და ტრანსპორტი „კამჩატკა“, სანახშირე გემი „კორეია“ და საბუქსირე გემი „სვირი“ ძლიერ დაუზიანებიათ. „კორეია და „სვირი“ 14 მაისს ბრძოლის დაწყების უმალ წასულან, შანხაიში მისულან და იქ საერთაშორისო წესისამებრ ომის გათავებამდე იარაღი უნდა აიყარონ. იაპონელებს ვაშიშიმასთანაც დაუჭერიათ ერთი უცხო გემი 200 აფიცრითა და ჯარის კაცით და იოკაჰამაში მიუყვანიათ. იქმნება, ესეც რუსის გემი იყოს. როგორც ვიცით, ერთი რუსის გემი ჯერ კიდევ 13 მაისს გზაში დაზიანებულიყო და კიაოჩაოში მისულიყო. რასაკვირველია, რუსის ფლოტის ზარალი თან და თან უფრო გამოირკვევა, გავიგებთ რამდენი გემი მიაღწევს ვლადივასტოკს, მაგრამ ეხლაც სრულიად ნათლად სჩანს, რომ ბალტიის ესკა-

დრის უმთავრესი და უძლიერესი ჯავშნიანი გემები იაპონელებს ან ჩაუძირავთ, ან დაუზიანებიათ, ან ტყვედ დაუჭერიათ და თავიანთ პორტებში მიუყვანიათ.

რუსის ესკადრის ნამდვილ ძალას 5 საუკეთესო, ახალი და მსწრაფლ-მავალი ჯავშნიანი გემი შეადგენდა: „კნიაზ სუვოროვი", „ბოროდინო", „ორიოლ"-ი, „იმპერატორ ალექსანდრ III" და „ოსლიაბია". „სუვოროვი", „ბოროდინო" და „ოსლიაბია" ჩაუძირავთ, „ორიოლ"-ი ტყვედ დაუჭერიათ და „ალექსანდრე III" ძალზე დაუზიანებიათ და ვინ იცის, მიაღწევს ვლადივასტოკამდე თუ არა. ამაზე მეტი ზარალიც რომ არ მოსვლოდა რუსის ფლოტს, ესეც დიდ, უმაგალითო დამარცხებად ჩაითვლებოდა. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ასე ასწერს ამ ჯავშნიან გემებს: „რუსის ფლოტის ძალას 5 საესკადრო ჯავშნიანი გემი შეადგენს. 4 ჯავშნიანი გემი „ალექსანდრე III", „ბოროდინო", „ორიოლ"-ი და „სუვოროვი" ახალ გემებია „ცესარევიჩ"-ის ტიპისა და რუსეთშია აშენებული. „ალექსანდრე III" და „ბოროდინო" 1901 წელს ჩაუშვეს ზღვაში, „ორიოლი" და „სუვოროვი" 1902 წ.; ზღვაში გასასვლელად-კი მხოლოდ 1904 წ. ზაფხულს დაამზადეს; ასე რომ ამ უზარმაზარ გემების აშენებას თითქმის ხუთ-ხუთ წელიწადს მოუნდნენ. ეს 4 ჯავშნიანი გემი ყველაზე უდიდესია რუსის ფლოტში; წყალ-წყვა 13,516 ტონა აქვთ თითოს, საათში 17½—18 მილს გადიან და მეტად კარგად არიან შეიარაღებულნი: თითოს 4 თორმეტ დიუმიანი ზარბაზანი აქვს, 11 ექვს დიუმიანი და 20 სამ დიუმიანი. ჯავშანიც მეტად სქელი აკრავთ. არა მგონია, ეს გემები იაპონიის საუკეთესო ჯავშნიან გემებს დაუვარდნენ „მიკაზა"-ს გარდა. ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის ძალასაც სწორედ ეს ოთხი ჯავშნიანი გემი შეადგენს. ამას გარდა, ადმ. როჟესტვენსკის ჰყავს დიდი საესკადრო ჯავშნიანი გემი „ოსლიაბია". ეს გემი პორტ-არტურში ჩაძირულ ჯავშნიან გემებს „პერესვეტ"-სა და „პობედა"-ს ჰგავს და 1898 წელსაა წყალში ჩაშვებული; 4 ათ დიუმიანი ზარბაზანი აქვს, 11 ექვს დიუმიანი და 16 სამ დიუმიანი; თუმცა ჯავშანი ცოტა თხელი აკრავს, მაგრამ სწრაფია, საათში თვრამეტნახევარ მილს გადის, მაღალი ბორტი აქვს, ოკეანის ტალღას კარგად უძლებს და ამიტომ დიდ სარგებლობას მოუტანს რუსის ესკადრას".

ამ ხუთ საუკეთესო ჯავშნიან გემიდან სამი ჩაძირულა, ერთი ძალზე დაზიანებულა და ერთი („ორიოლი") იაპონელებს წაუყვანიათ თავიანთ პორტში; იქ ალბად შეაკეთებენ და იაპონიის ფლოტს მიუმატებენ. დატყვევებული პირველ კლასის საესკადრო ჯავშნიანი გემი „ნიკოლაი I" და სანაპირო ჯავშნიანი გემები „ადმირალ სენიავინი" და „ადმირალ აპრაქსინი"-ც მიემატებიან იაპონიის ფლოტს. ესენი თუმცა ძველი გემებია, მაგრამ ახლად შეკეთებული და შეიარაღებულია; იაპონელები ამ 3 გემს შეაკეთებენ და, ალბად, ნაპირების დასაცველად მოიხმარებენ.

ჩაძირული ჯავშნიანი კრეისერი „მონომახი" ძველი გემი იყო, მაგრამ ესეც გადაკეთებული და ახლად შეიარაღებული იყო. ჩაძირული „ურალი" მაშველი კრეისერი იყო. გადარჩენილ გემებში „ალექსანდრე III"-ეს გარდა, არც ერთი ახალი და სწრაფლ-მავალი, ბრძოლისათვის გამოსადეგი გემი აღარ ურევია, მაგრამ ცოტა კიდევ მოვიცადოთ, ვნახოთ რა ცნობები მოვა გადარჩენილ გემებზე.

იაპონელებს ბევრი რუსის მეზღვაურიც დაუტყვევებიათ. სასებოში 2220 ტყვე მიუყვანიათ და კიდევ ბევრს მიიყვანდნენ, რადგან იმდენ ჩაძირულ და დატყვევებულ გემზე გაცილებით მეტი ხალხი იქნებოდა. ადმ. როჟესტვენსკი ჯავშნიან გემ „სუვოროვ"-ზე იჯდა, 14 მაისს ბრძოლაში დაჭრილა და როცა „სუვოროვი" ჩაძირულა, სხვა გემზე გადაუყვანიათ.

აი ასეთი საშინელი, უმაგალითო ზარალი მოჰსვლია რუსის ფლოტს, თუმცა ადმ. როჟესტვენსკის უფრო ძლიერი ესკადრა ჰყავდა ვიდრე ადმ. ტოგოს.

ამას გარდა იაპონელები ვუზუნში მდგომ რუსის სანახშირე და სატრანსპორტო გემებსაც მისცვივნიან და იქ ჩაუკეტიათ. ჩინელ ადმირალის მოთხოვნილებით რუსის გემებს თავიანთი ბაირაღი ჩამოუშვიათ. მაშველი კრეისერები „დნეპრი" და „რიონიც" ვუზუნში (შანხაის ახლო) დგანან თურმე. ყველა ამ გემს იარაღს აჰყრიან და ომის გათავებამდე პორტიდან აღარ გაუშვებენ.

იაპონურ ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონიის ფლოტს დიდი ზარალი არ მოჰსვლია. რუსები მალე არეულან, იმათი გემები ხელად დაზიანებულან და იაპონელებისათვის დიდი ზარალი ველარ მიუციათ. ეს ბრძოლაც რუსის ფლოტის უმაგალითო დამარცხებით დასრულდა. ბალტიის ძლიერმა ესკადრამ და „რკინის ადმირალმაც" ვერ გაამართლეს რუსეთის იმედი. ელოდნენ, ბალტიის ესკადრა თავს ისახელებს, იაპონიის ფლოტს დაამარცხებს და პორტ-არტურის ესკადრასავით არ შერცხვებაო, მაგრამ ამ მტკიცე იმედის წინააღმდეგ, ბალტიის ესკადრამ არა თუ არ დაასუსტა იაპონიის ფლოტი, პირიქით, გააძლიერა და პორტ-არტურის ესკადრაზე უარესად შერცხვა; პორტ-არტურელებს არც ერთი გემი არ დაუნებებიათ იაპონელებისათვის, ეხლა-კი იაპონელებს 4 ჯავშნიანი გემი ჩაუგდიათ ხელში.

ამ ბრძოლის შედეგს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მთელს ქვეყნიერობაზე, მით უმეტეს, რომ იაპონიის ფლოტს ასე მცირე ზარალი მოჰსვლია. ყველგან ჰფიქრობენ, რომ ამ ბრძოლას უსათუოდ შერიგება მოჰყვებაო. („კ. ნ.").

ტფილისი 18 მაისი.

თავზარდამცემი ამბები მოვიდა გუშინ ბრძოლის ველიდან: ბალტიის ესკადრა სრულიად გაანადგურა ადმ. ტოგომ. თერთმეტ ჯავშნიან გემიდან, რომელნიც მთელის რუსეთის ფლოტის ძლიერებას შეადგენდნენ, ოთხი სულ დაიღუპა („ბოროდინო", „კნ. სუვოროვ" და „ოსლიაბია"), ერთი („იმპ. ალექსანდრ III") მეტად დაზიანდა და ოთხიც („ორიოლ", „იმპერატორ ნიკოლაი I", „ადმირალ სენიავინ" და „გენ.-ადმირალ აპრაქსინ") იაპონელებმა ტყვედ წაიყვანეს; ცნობა არ არის მხოლოდ ორ ჯავშნიან გემზე. კრეისერებიდან დაღუპულა „ურალი" რამდენიმე ძალიან დაზიანებულა.

როგორც მოგეხსენებათ, ბალტიის ესკადრის გაგზავნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის. როჟესტვენსკის რომ გაემარჯვა, შესაძლებელია ომი სულ სხვა მიმართულებასა და ხასიათს მიიღებდა, რადგან თავი და თავი საქმე შორეულ აღმოსავლეთის დრამაში ზღვაზე ბატონობაა. სრულის გამარჯვების იმედი თითქმის არავის ჰქონდა, მაგრამ ლოდინი იყო, რომ როჟესტვენსკი ძალზე შეასუსტებს იაპონიის ფლოტს და მით შესაძლებელად გახდის მაინც საპატიო ზავის ჩამოგდებასაო. ეს ლოდინიც გაცრუვდა, როგორც ბევრი სხვა ამ უბედურს ომში: როჟესტვენსკიმ არათუ არ შეასუსტა იაპონიის ფლოტი, კიდეც გააძლიერა იმ უმაგალითო ფაქტით, რომ რამდენიმე გემი ხელში ჩაუგდო.

ამ საშინელს ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო დღევანდელ ომისათვის, არამედ მთელ საერთაშორისო პოლიტიკისთვისაც. ამიერიდან გადაწყვეტილ საქმედ უნდა ჩაითვალოს იაპონიის გაბატონება წყნარ ოკეანეზე და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკის სრული დამარცხება. ხოლო ამ გარემოებას დიდი საქვეყნო მნიშვნელობა აქვს, რომლის სავსებით დაფასებაც შეუძლებელია დღეს...

აწინდელ ომისათვის-კი ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რუსეთს აღარ შეუძლია ოდნავადაც ხელი შეუშალოს იაპონიის ბატონობას ზღვაზე და ამიტომაც ომის გაგრძელებაც შეუძლებელი ხდება. რა ფასითაც იქნება, მშვიდობიანობა უნდა ჩამოვარდეს. კმარა ამდენი მსხვერპლი! წელიწადი და ოთხი თვეა აგერ ეს საშინელი ტრაგედია გრძელდება და რუსეთის ხალხი აუარებელ მსხვერპლს სწირავს პრობლემატიურ მიზანს. არარაფერი გამოდის გარდა ხალხის უბრალოდ ჟლეტისა და აუარებელ სიმდიდრის ტყუილად გადაყრისა...

მშვიდობიანობის დამყარების აუცილებლობა ამ ბრძოლის შემდეგ მთელს ქვეყანას კარგად ესმის. გუშინდელსავე დეპეშებში ვკითხულობთ ქვეყნის აზრს: ვაშინგტონში დარწმუნებულნი არიან, ომი უნდა გათავდესო და ზავზე ლაპარაკი ვაშინგტონში უნდა დაიწყოსო; პარიზში ყველა გაზეთები ერთხმად ღაღადებენ, ამიერიდან ბრძოლა უაზრობა იქნებაო; ბერლინისა და ვენის გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, მშვიდობიანობა უნდა ჩამოვარდესო. განათლებულ კაცობრიობის ამ ღაღადს, უეჭველია, ხმას შეუერთებს რუსეთის ხალხიც, რომელიც კარგა ხანია დრტვინავს ამ საშინელ დრამის წყალობით...

სათავად-აზნაურო მილიცია

თავად-აზნაურთა მილიცია არსებობს—ეს არავისათვის არ არის საიდუმლო. კერძო ცნობებით მილიციონერთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. მილიციის მეთაურთ დაიარეს გორის მაზრა და ყოველ გვარიდან ერთი ან ორი კაცი წაიყვანეს. ვისაც ცხენის შეძენისა და გამოწყობის საშუალება არ შესწევს, შეძლებულნი მონაწილენი მილიციისა ეხმარებიან. თუ მივიღებთ მხედველობაში გორის მაზრის თავად-აზნაურთა ახალგაზდობის მოუმზადებლობას ცხოვრებისათვის, მსურველი მილიციაში ჩაწერისა ბევრი აღმოჩნდება. როგორც ამბობენ, თავად-აზნაურთა რაზმი დღეს 300 მილიციონერისაგან შესდგება.

როგორც ხედავთ, სახუმარო საქმე არ არის მილიციის არსებობის საქმე და ყოველი შეგნებული კაცი მოვალეა ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოს და გამოირკვიოს—რა გავლენას იქონიებს ხსენებული რაზმი ხალხის ეხლანდელ მოძრაობაზე და მის სულის კვეთებაზე.

თავად-აზნაურთა რაზმის არსებობის მიზანი ჯერ-ჯერობით ბეჯითად არავინ იცის; ვიცით მხოლოდ ის გარემოება, რომ აზრი რაზმის დაარსებისა დაიბადა გლეხთა და თავად-აზნაურთა დამოკიდებულების გამწვავებასთან ერთად; აზრი საქმედ გადაიქცა, როცა გორის მაზრაში მოხდა რამდენიმე შემთხვევა გადაწვისა და მკვლელობისა.

თუ მარტო ამას მივიღებთ მხედველობაში, აზრი რაზმის არსებობისა თავის თავად ირკვევა—ამოძრავებულ ძალას გლეხობისას თავად-აზნაურობამ წინ წაუყენა შეერთებული ძალა თავის რაზმისა და ამით თითქო უთხრა —შენ თავს ნუ გახვალ, თორემ შენს თავხედობას ადვილად შევაკვეცთ ფრთასაო.

იქნება ჩემი მოსაზრება უსაფუძვლოც იყოს, მაგრამ რას იზამ, როცა სხვა საბუთით ვერ გაამართლებ რაზმის არსებობას. გავიდა ხანი. „ნოვოე ობ."-ში დაიბეჭდა წერილი „არავინისა", რომელიც ეხებოდა რაზმის არსებობას. ამ წერილმა გამოიწვია რაზმის ერთ მონაწილეს პასუხი, რომლიდანაც გავიგეთ, რომ მილიციის არსებობის მიზანი ერთმანეთის დახმარება და გლეხებთან კარგ განწყობილების ჩამოგდებააო.

არ ვიცი, ვინ რა თვალით შეხედა ამ განმარტებას და მე-კი, მართალი მოგახსენოთ, როცა ჩავუკვირდი საქმეს, იმ აზრს დავადექი, რომ შესაძლებელია სურვილი რაზმის მეთაურებისა გულ-წრფელობით იყოს გამსჭვალული, მაგრამ მილიციის დაარსებით გლეხ-კაცობის გულს ვერ მოიგებენ მეთქი. წინააღმდეგ, ვფიქრობდი მე, მილიციის დაარსებით თავად-აზნაურობა ისედაც დაშორებულ გლეხ-კაცობას მთლად მოიშორებს და მათ შორის ხიდი სამუდამოდ ჩატყდება მეთქი.

ვფიქრობდი ასე და მიყუჩებული ვიყავი—საჯაროდ გამოთქმა აზრისა ამ საგნის შესახებ სიფათერაკოდ მიმაჩნდა, რადგან დასაბუთება ჩემის აზრისა არ შემეძლო და უბრალო მოსაზრების გამოთქმა ხომ არავის დაარწმუნებდა და ისეც გამწვავებულ მდგომარეობას უკანასკნელ ზომამდე მიიყვანდა.

წარსულ კვირას რამდენიმე დღე ქართლში გავატარე. აქა-იქ არა სასიამოვნო ამბები მესმოდა მილიციის მოღვაწეობის შესახებ; მე მაინც ყური არ ვათხოვე ამ ამბებს, რადგან დღევანდელ პირობებში ჭორიკანობამ დიდი ადგილი დაიჭირა და ტყუილსა და მართალს ერთნაირი გასავალი აქვთ.

წარსულ კვირაში მთელი რაზმი თუ მისი ნაწილი, კარგად არ ვიცი, ზემო ქართლში ყოფილა. რამდენიმე კაცი მიუმხრიათ მცირე მამულიან თავად-აზნაურთა ახალგაზდობისაგან და, სხვათა შორის, მოსალაპარაკებლად მიუწვევიათ ადგილობრივი გლეხობა, რომელიც კრებას არ დასწრებია. წასულა თუ არა რაზმი, მეორე დღესვე დილა ადრიან დაურისხებიათ და ქალი და კაცი სოფლისა ერთად შეკრებილა. მიზეზი კრებისა ისა ყოფილა, რომ თავად-აზნაურთა მილიციის მოსვლას და განსაკუთრებით მის არსებობას გლეხ-კაცობა საგონებელში ჩაუგდია.

— ვისთვის ან რისთვის დარაზმულა ამოდენა თავად-აზნაურობა, თუ არ ჩვენსა და ჩვენის მოძრაობის წინააღმდეგ,—ამბობდა თურმე ერთი.

— რაზმის არსებობის მიზანი აშკარაა,—გაიძახოდა მეორე,—მან თავისი ძალა დაგვანახვა და ამით გვითხრა, თქვენს თავგასულობას ადვილად ავლაგმავთო.

— არა, ბატონო,—დაჟინებით იმეორებდა უმრავლესობა,—მაგათ ბატონ-ყმობის დაბრუნება მოუწადნიათ და ამის გულისთვის სიცოცხლესაც არ დაზოგავენო.

დასასრულ შეკრებილთ ერთ-ხმად გადაუწყვეტიათ, მოსპონ ყოველივე კავშირი თავად-აზნაურებთან და ბოიკოტი გამოუცხადონ.

არ ვიცი, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ამბავი რაზმის სულის ჩამდგმელებზე და მე-კი, მათ ადგილას რომ ვყოფილიყავი, ეს გარემოება დამაფიქრებდა. დამაფიქრებდა იმიტომ, რომ მთავარ მიზანს მილიციის არსებობისას არა თუ ვერ მიაღწევენ, არამედ კარგ განწყობილების ნაცვლად გლეხთა და თავად-აზნაურთა დამოკიდებულობას უფრო გაამწვავებენ.

შორ-მჭვრეტელი არ უნდა იყოს კაცი, ადვილად მიხვდეს, რომ მილიციის დაარსება გლეხთა შორის ეჭვისა და უნდობლობის მეტს თავად-აზნაურთა მიმართ სხვა ვერაფერ სიკეთეს მოიტანს.

რაზმის მეთაურთ ეს გარემოება კარგად უნდა გაითვალისწინონ. **კლდე**

სოფლად

ხე-ტყის ქარხნის მუშები. სოფ. აძვიბჟაში (სოხუმის ოლქში) აგერ ათი წელიწადია, რაც როსტოველმა მდიდარმა მაქსიმოვმა დააარსა ხე-ტყის ქარხანა მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზედ. დიდი ხანია აფხაზეთის ხე-ტყეს ეტანებოდნენ კაპიტალისტები და ზღვის პირად მდებარე მშვენიერი ტყეები თითქმის ერთიანად გაიკაფა. მთებზედ აყრილ მშვენიერ ნაძვნარ-ფიჭვნარ ტყეს ვერავინ ჰკიდებდა ხელს უგზოობისა გამო. ეს საქმე პირველად ზემოდ ხსენებულმა მაქსიმოვმა მოაგვარა (სხვის დაწყებული იყო). ერთი კანტორა მთებში, ჩხალთაში გახსნა, სადაც ხე იჭრება, სახერხავი ქარხანა კი სოფელ აძვიბჟაში გააშენა. აქედან ზღვამდის, ხუთიოდე ვერსის მანძილზე, გაიყვანა ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა და გაიჩაღა საქმე. მთებში მოჭრილ უზარმაზარ ხეებს მდინარე კოდორით ჩამოაქვთ ტივებათ სოფელ აძვიბჟაში, აქ მასალა მზადდება და მერე იგზავნება გასასყიდად. ბევრს საქმე გაუჩნდა და, უნდა სიმართლე აღიაროს კაცმა, დიდი სარგებლობა მოუტანა ქართველობას, რადგან მუშათა უმეტეს ნაწილს ქართველები შეადგენენ. რაც ეს საქმე წამოიწყო, წლევანდლამდის მუშებს ერთად უკმაყოფილება არ გამოუცხადებიათ, თუმცა ამისი მიზეზი ბევრი ჰქონდათ.

პირველად, როცა მუშაობა დაიწყო, მუშები ქირის მხრით ცოტად თუ ბევრად დაკმაყოფილებულნი იყვნენ, მაგრამ, რაც დრო მიდიოდა, მით უფრო მუხრუჭს უჭერდნენ ყოველ მხრივ და ქირაც კლებულობდა: მანეთ-მანეთ ნახევრიდან დაიწია 60—90 კაპეიკამდის. ქარხნის ადმინისტრაცია სხვა და სხვა პირთ სამუშაოს ნაწილ-ნაწილად აძლევდა იჯარით, მაგალითად, დამბების კეთება, წყლიდან ხეების ნაპირზედ ამოზიდვა, მდინარით ტივებად მათი ჩამოტანა, მაშინაზე მიწოდება და სხვა, და ყველა იჯარით გაცემულ სამუშაოზედ მომუშავეთ ქარხანა არავითარს შეწყობას არ აძლევდა ავადმყოფობისა, თუ დაშავების დროს. ყოფილა მაგალითები, რომ ორიოდე გროშის საშოვნელად ჩამოსული ლეჩხუმელი გლეხი ტივს მიეჭეჭყოს კლდეზედ და სიცოცხლეს გამოსალმებოდეს, მაგრამ არც ერთი გროშის საღირალი შეწყობა არ აღმოეჩინოს ქარხანას იმის დაობლებულ ოჯახისათვის. „ერთი ყმაწვილი ძლიერ დაშავდა, მიიტანეს გლეხებმა ამ—მა და კ—მა; საწყალი მეტის-მეტ ტკივილისაგან მწარედ იტანჯებოდა, ქარხნის ადმინისტრაციამ-კი იმდენი გულ-ქვაობა გამოიჩინა, რომ სოხუმში ჩასასვლელი დროგი არ ათხოვა, აქაო და ჩვენს საქმეზედ არ დაშავებულაო,—ტივის ჩამოტანა იჯარით არის გაცემულიო." ქარხანას პატარა საავადმყოფო აქვს და ჰყავს ერთი ფერშალი, რომელსაც მუშები ძალიან ემადლიერებიან,

---

ფელეტონი

ერი და სახელმწიფო *)

(რ. სპრინგერი)

I

1. სოციალური ძალა, რომელიც ჰქმნის ადამიანების საზოგადოებას, საერთო ინტერესებია. ყოველ ადამიანს აქვს რამდენიმე ისეთი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია სხვა ადამიანების თანამშრომლობა. უმთავრესი საშუალებანი ამ თანამშრომლობის განხორციელებისა არის ერთის მხრივ სამსახურის გაცვლა გამოცვლა, მეორე მხრივ ადამიანთა მოქმედების მეერთება, ასოციაცია, რომელიც შეძლებას აძლევს თითეულ ადამიანს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. ეს შეერთება, ასოციაცია შეიძლება იყოს თავისუფალი, თვითეულ წევრის ნება-ყოფლობით შედგენილი, ეგრე გსთქვათ ხელშეკრულებითი, ყველა წევრების მიერ საერთოდ მიჩნეულ ინტერესებით გამოწვეული. მაგრამ არის ისეთი ასოციაციაც, რომელსაც იძულებითი ხასიათი აქვს: წევრი იძულებულია მონაწილეობა მიიღოს საერთო მოქმედებაში მაშინაც კი, როცა ეს მას არ სურს. უმაღლესი იძულებითი კავშირი ან ასოციაცია დღეს სახელმწიფოა.

იმის გამოსარკვევად, თუ რომელი მიმართულება უფრო ნიადაგიანია ეროვნულ საკითხში—ინდივიდუალურ-ცენტრალისტური თუ კოლექტივისტური, საჭიროა ვიცოდეთ რა გვარისაა ეროვნული ინტერესი. თუ ეროვნული ინტერესი შინაგან-ეთიური, მორალის სფერის კუთვნილი მოვლენაა, იგი არ ექვემდებარება არც სახელმწიფოსა და არც სამართალს, ერი მაშინ სახელმწიფოსა და სამართლის გარეშეა. თუ ეროვნული ინტერესი ერთგვარათ გარეგანი და მატერიალურია, მაგრამ მისი დაკმაყოფილება ყოველ ინდივიდს შეუძლია სხვას დაუხმარებლად, ეროვნულ ცხოვრების უზრუნველყოფისა და დაცვისათვის მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო—პიროვნების თავისუფლება, ეს უდრესი ძირეული უფლება ყოველ მოქალაქისა. თუ ერთ ადამიანს კერძოდ არ შეუძლია თავის ეროვნულ ინტერესის დაკმაყოფილება და ამისთვის საჭიროა დაინტერესებულთა თავისუფალი კავშირი ან ასოციაცია, ეროვნულ ცხოვრებისათვის საჭირო იქნება მხოლოდ შეკრება-შეკავშირების უფლების უზრუნველყოფა. მაგრამ თუ ყველა ეს საშუალება არ კმარა ეროვნულ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, თუ ამისათვის აუცილებელია ერის ყველა წევრების იძულებითი კავშირი, ერს უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს პრეროგატივები. ამ შემთხვევაში ერი გახდის არსებათ სწორი სახელმწიფოსი. იგი ითხოვს ამ უკანასკნელისაგან ან დამორჩილებას ან სწორუფლებიანობას.

ეროვნული ინტერესი არ არის შინაგან-ეთიურ ხასიათისა, როგორც, მაგალითად, სარწმუნოებაა, ე. ი. ეროვნული ინტერესი არ არის კერძო სინიდისის საქმე. თანამედროვე განვითარების მთავარი მიმართულება ადამიანის განსაზოგადოებაა; ადამიანის ეს განსაზოგადოება არ არის ისეთი წმინდა მექანიური კავშირი, როგორიც იყო, მაგალითად, ეგვიპტეში კავშირი სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე სახელმწიფო მონებისა, რომელნიც ერთის ჯაჭვით იყვნენ გადაბმული ერთი მეთრეზე და ემორჩილებოდნენ ზედამხედველის ყოველ ნიშნებასა და მათრახს. დღეს ის ჯაჭვი ათას გვარად ერთი მეთრეზე გადახლართული ინტერესებია, მათრახი—ჩვენი მოთხოვნილებანი და ხიშტები—წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა. სიტყვაა, რომ გვიხსნის გზას ცოდნისა და არსობის პურისაკენ. როგორც უმაღლესი სულიერი მოთხოვნილება, ისე უმდაბლესი მოთხოვნილება სხეულისა სიტყვის საშუალებით კმაყოფილდება: უენო ადამიანი საზოგადოების გარეშე სდგას; ვისიც სიტყვა არ გვესმის, არ ეკუთვნის ჩვენს საერთო წრეს. ცოდნა ადგილობრივ ენისა არის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ჩვენის მატერიალურის კეთილდღეობისა; არ-ცოდნა კი წვრილი გაჭირვებისა და სოციალურ დამცირებისა. მხოლოდ დიდის გაჭირვებითა და ბრძოლით იძენს უცხოელი ისეთ მდგომარეობას, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებს დაბადებიდანვე აქვს.

თუ ასეთ გაჭირვებას იტანს ენის არ მცოდნე კერძო პირი, როგორი უნდა იყოს იმ ხალხის მდგომარეობა, რომელიც დაპყრობილია უფრო ძლიერის ხალხისაგან? მთელი თაობანი უნდა დაიტანჯნენ, განიცადონ მრავალგვარი უბედურება, რომ სოციალურ დამცირებას თავი დააღწიონ და, თავისებურობის დაკარგვის შემდეგ, ეკონომიურად და სოციალურად სხვებს გაუთანასწორდნენ. ამიტომაც არის, რომ თვითეულ ადამიანის ეგოისტური, მატერიალური ინტერესი ითხოვს ეროვნულ კავშირის არსებობას და დაცვას.

რასაკვირველია, ეროვნული ინტერესი შინაარსითა და სიძლიერით ერთი და იგივე არ არის ერის ყველა წევრებისათვის: ეროვნული ინტერესი ქალაქელ მუშისა სხვაა და სოფლელ გლეხისა—სხვა. მაგრამ ყოველს შემთხვევაში რომელიმე ერის ყველა წევრებს აქვთ განსაზღვრული საერთო ეროვნული ინტერესები; მაგრამ ეს იმას-კი არ ნიშნავს ეს საერთო ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დახარისხები, ეკონომიური, მაგალითად. 1)

სანამ ეროვნული კავშირი უშიშარ მდგომარეობაშია, თავისუფალ, ერთიანად ეროვნულ სახელმწიფოში, ეროვნული ინტერესი სახელმწიფოს შინაურ პოლიტიკაში არა სჩანს; ეს გარემოება იმის დამამტკიცებელია, რომ ყველა ეროვნულ მოთხოვნილებას სახელმწიფო აკმაყოფილებს. სადაც ერთ სახელმწიფოში რამდენიმე ერი სცხოვრობს და ერთი მათგანი გაბატონებულია, სახელმწიფო არ აკმაყოფილებს თვითეულ ერის ეროვნულ ინტერესებს და ის, რაც წმინდა ეროვნულ სახელმწიფოში შეუმჩნეველი იყო, აქ იჩენს თავს. აქედან ცხადია, რომ ეროვნული ინტერესი კოლექტიურ ხასიათისაა და მისი დაკმაყოფილება შესაძლებელია იძულებითის კავშირის საშუალებით: ეროვნულ სახელმწიფოში ამ ინტერესს აკმაყოფილებს სახელმწიფო. აქ ეროვნული ინტერესი იგივე სახელმწიფო ინტერესია. ეს იგივეობა დარღვეულია ეროვნებათა სახელმწიფოში, ე. ი. იქ, სადაც რამდენიმე ერია გაერთიანებული სახელმწიფო კავშირით: აქაც არის ყველასათვის საერთო ინტერესები, მაგალითად,—სახელმწიფოს დაცვა გარეშე მტრებისაგან, ეს არის წმინდა სახელმწიფო ინტერესი; მაგრამ ამ წმინდა სახელმწიფო ინტერესებთან ჩვენ ვხედავთ უკვე გამოყოფილ ეროვნულ ინტერესებს, რომელთაც ეროვნულ სახელმწიფოში ეს უკანასკნელი აკმაყოფილებდა და სახელმწიფო ინტერესებთან იყო შეხორცებულ-შედუღებული. ყველა ის საერთო ინტერესები, რომელიც ერს ჰქონდა ეროვნულ სახელმწიფოში, აქაც საერთო ინტერესებად რჩება, სადაც ერი და სახელმწიფო ერთსა და იმავე კავშირს არ წარმოადგენენ და, მამასადამე, საერთო ძალღონით შეიძლება მხოლოდ მათი დაკმაყოფილება.

სულ უბრალო მაგალითი დაგვიმტკიცებს, რომ არც ერთს ინდივიდს და არც თავისუფალ კავშირს არ შეუძლია ეროვნულ ინტერესის დაკმაყოფილება. ავიღოთ სახალხო განათლების საქმე.

მშობლების ინდივიდუალური, ეგოისტური ინტერესი მოითხოვს, რომ მათმა შვილებმა განათლება მიიღონ; მაგრამ ამ ინტერესის დაკმაყოფილება არ შეუძლიათ მარტო თავიანთ ძალღონით. პირველად აქაც თავისუფალ, ნებაყოფლობით კავშირს მიმართეს, კავშირს, რომელიც, რასაკვირველია, დაინტერესებულ პირთაგან შესდგებოდა. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს საკმარისი არ იყო საქმისათვის.

მართლაც ახალთაობის სწავლა-განათლების საქმე მოითხოვს დიდ ხარჯს, რაც ხშირად მეტად ავიწროებს მშობლებს; გარდა ამისა ბევრს საერთო ინტერესი თავისად არ მიაჩნია: ამისთანებისათვის ის არის მნიშვნელოვანი და საინტერესო, რაც მათ სიცოცხლეშივე მოესწრებათ, გამოადგებათ. ამიტომ ბევრი არ გაიღებს ხარჯს ნებაყოფლობით. ამიტომაც არის, რომ საერთო ინტერესი,

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2793

*) მკითხველს ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეს, რომ სპრინგერი წმინდა წყლის მატერიალისტია.

გარნა მუშათ ნაკლები შემწეობა ჰქონიათ ავადმყოფობის დროს, და თან ექიმიცა ჰყავს, მაგრამ ეს ექიმი ქალაქ სოხუმში სცხოვრობს და წელიწადში ერთხელაც არ მიაკითხავს ქარხანას და არ დახედავს ავადმყოფთ.

ქარხანას ჩვეულებისამებრ, თავისი დუქანიც აქვს, რომლის პატრონსაც აქამდის ჰქონდა იჯარით აღებული ბევრი რამ სამუშაო, მაგალითად, ხეების წყლის ნაპირზედ გადატანა და მათი მიწოდება სახერხავ მაშინებზედ, და ამ რიგად რასაც მუშა დღეში იშოვნიდა, იმავე დუქანშივე სტოვებდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც ნაღდ ფულის მაგიერ კვიტანციების—ორდერების ძლევა შემოიღეს: ვიღაცა სინიდისზე ხელაღებული რაინდები ქარხნის ახლო ექიმ ბარსკის დაეცნენ და გაძარცვეს, და აი ეს ფაქტი მოიხვიეს თითზე და მუშებს ნაღდად გასწორებაზე უარი უთხრეს, რითაც, რასაკვირველია, საკუთარ დუქანს მაგრად მიაჯაჭვეს. ვსთქვათ, მუშას ერგება ერთი კვირის ნამუშევარი 4 მანეთი, ფულის მაგიერ ეძლევა ოთხი მანეთის ორდერი, რომლის დახურდავება-კი მხოლოდ სოხუმის უმთავრეს კანტორაში შეიძლება, ესე იგი ერთი დღე და მანეთ-ნახევარი უნდა დაჰკარგოს თავის ოთხი მანეთის ასაღებად ან და მედუქნეს გადასცეს და საქონელი გამოართვას.

არც მაინც და მაინც მოიჯარადრენი ყოფილან კმაყოფილნი ქარხნის ადმინისტრაციისა. მე არ ვიცი, თუ რამდენად საბუთიანია მათი უკმაყოფილება, მაგრამ ამ ჟამად ხელთა მაქვს ერთის საქმის საბუთები: ქარხნის ადმინისტრაციას ვიღაცებისათვის გადაეცა შვიდას-რვაას მანეთის საქმე—დამბის კეთება. გაკეთდა საქმე, ადგილობრივ კანტორის მმართველის და მისი დამქაშების გამოანგარიშებით 77 კუბიკური საჟენი აღმოჩნდა,—მოიჯარადრე არ დაეთანხმა. მოიწვია თავის ხარჯით მიწის მზომელი, რომლის გამოანგარიშებით იყო 101 საჟენზე ცოტა მეტი. მმართველს ეწყინა ესა, ხელ-ახლა მოაყვანინა საცოდავს მოიჯარადრეს ტეხნიკოსი, თვითონაც გააჩინა მეორე ტეხნიკოსი, ამათ გამოანგარიშებით-კი აღმოჩნდა—ას კუბიკურ საჟენზედ ცოტა ნაკლები. მიუხედავად ამისა 87 კუბიკურ საჟენში გაუსწორდა მოიჯარადრეს!

არც სოფელი ემადლიერება. ქარხნისა და სოფლის ურთი-ერთ დამოკიდებულების დასასურათებლად მოვიყვან შემდეგ, მცირეს, მაგრამ საგულისხმიერო, ფაქტს: დიდძალი ნაფოტი და ქარხნისათვის გამოუყენებელი ფიცრის ნაჭრებია. აი ამ ნაფოტებსა და ნაჭრებს ეხლანდელ კანტორის გამგე არავის უფასოდ არ აძლევს და იქვე, სოფლის მამულზედ, სწვავს, რათა მისთვის ყოვლად გამოუსადეგარი სხვას მუქთად არ ჩაუარდეს ხელში. „ჩვენ უშემობით-კი არა ვართ შეუხებულნიო, მითხრეს სოფლელებმა, მხოლოდ ერთი არ გვესმის: რათ ჰხარჯავს შრომასა და ნავთს მათ გასანადგურებლად, ჩვენ-კი არ გვაძლევსო“? არც მე მესმის, მკითხველო, მაგრამ ასეთია ბურჟუას ლოგიკა! ეხლა ხომ ბოიკოტებისა და გაფიცვების დროა. როგორც ჩემს იქ ყოფნის დროს მიამბეს, ამის გამო აფხაზები უპირებენ თურმე შემდეგს: ჩვენს ადგილზე არ დავაწვევინებთ, თვით ქარხნის ეზოში დასწვასო!

ბევრმა ამგვარმა არა ნორმალურმა მოქმედებამ ქარხნის ადმინისტრაციისამ გამოიწვია მუშათა გაფიცვა, რომელიც დაიწყო 9 თებერვალს და გათავდა 15-ს. გაფიცვამ, რომელშიაც ღებულობდა ორას კაცზედ მეტი მონაწილეობას, სამაგალითო მშვიდობიანად ჩაიარა; მუშების მოთხოვნილებების უმთავრესი მუხლები შემდეგია:

1. დღიურ ქირას თხოულობდნენ 60—90 კ. მაგიერ 1 მანეთს—1 მ. 20 კ. შეთანხმდნენ ყველა მუშას მოემატოს ორ-ორი შაური. მუშებს გადაჭრით მოეთხოვათ სამ-სამი შაურის მომატება, მაგრამ კანტორის მმართველმა ბ-ნმა ანდრეევმა შემდეგი ოინით დააკლებინა თითო შაური თურმე. მე რომ მოვკვდე, დარწმუნებული ვარ, გვირგვინს მომიძღვნით, ან ჩემი ორი ქალიშვილი გავათხოვო, ქართულის ჩვეულებისამებრ შემეწევითო, მოდით, ვითომც ეს ორი ფაქტი ეხლა მომხდარა და თითო შაური დამიკელით. კიდევაც დაუკლეს: ამისთანა არგუმენტებს აბა რას დაუყენებდნენ წინ? 2. ბინა. წინად უმეტესობას სრულიად არ ეძლეოდა ბინა. „დილიდან სალამომდისინ ოფლს ვღვრით და ვმუშაობთ. ღამე კი დაღლილ-დაქანცულს ცივი დედა-მიწა ლოგინად გვექცევა, ცა—საბნად, ქვა—სასტუმლოთო“. ეს საკითხი დაუკმაყოფილეს. დაჰპირდნენ ხუთ კაცს თითო ოთახი გაუშენონ. 3. ავადმყოფობის შესახებ მუშებმა გაფიცვით ეს გაიტანეს: ავადმყოფობის დროს 15 დღეს ნახევარი ჯამაგირი ეძლევა, მერე კი ესპობა, ხოლო წამლობა უფასოა მორჩენამდის. 4. გაფიცვის დროს „დანაცდურის“ ქირა მოითხოვეს, მაგრამ არ მიეცათ; 5. უქმეების წინდღით რვა საათის სამუშაო დღეს მოითხოვე. გადასწყდა რვანახევარი წინანდელ ცხრა საათის მაგიერ; 6. ჯაშუშების განდევნა. მოითხოვეს ჯაშუშების რამდენიმე კაცის განდევნა, მაგრამ ყველას აპატიეს, გარდა ვინმე ჯოჯუასი რომელმაც მუშათა „ძარს“.ის გრიალს ველარ გაუძლო და ივლტო სირცხვილეული; 7. მუშის დათხოვნა ამხანაგების უდასტუროთ არ შეეძლოს კანტორას,—მოიგეს; 8. თუ აუცილებელია დათხოვნა, მაშინ ორი კვირის წინ უნდა გამოეცხადოს ეს დასათხოვნ მუშას, თუ არა, ორი კვირის ჯამაგირი უნდა მიეცეს, ესეც გადასწყდა მუშათა სასარგებლოდ, და სხვანი წვრილმანი.

უფრო შეგნებულმა მუშებმა გაუმართეს თავიანთ ჩამორჩენილს ამხანაგებს და სალამ-სალამოობით მართავენ სასარგებლო კითხვებს. უწინ ბანქოს თამაშსა და ლოთობაში ატარებდნენ აქაური მუშები თავისუფალს საათებს. ეხლა კი მუშების საერთო გადაწყვეტილებით ეს ორივე განმანადგურებელი სენი მოისპო. „У насъ теперь ни одного пьянаго“ მითხრა ქარხნის ერთმა მოსამსახურემ.

საზოგადოდ აქაურ მუშების წარსულსა და აწმყო ცხოვრებას რომ გაითვალისწინებ, სასიხარულო მომავლის ტკბილი იმედი გიორკეცდება გულში.

ქარხნის მუშებმა მშვიდობიან გაფიცვით გაატარეს თავისი დღესასწაული 30 აპრილი და პირველი მაისი. **სოხუმელი.**

ახალი ამბავი

◆ გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი **წერილი ტფილისის პოლიცმეისტრისა**: „ტფილისში ხმა დადის, ვითომც 16 და 17 ამა მაისს თათრებსა და სომხებს შორის შეტაკება მომხდარიყოს და ვითომც რამდენიმე კაცი მოკლულ-დაჭრილიც იყოს. ეს ხმა სრულიად მოკლებულია საფუძველს და ნამდვილ ჭორს წარმოადგენს. ამიტომ ვთხოვ მცხოვრებთ ნუ დაიჯერებენ ცრუ ამბებს, რომელთაც ბოროტ-განმზრახველნი ავრცელებენ, და სჯეროდეთ, რომ თუ მართლა რამე უწესოება დაიწყო, მის მოსასპობად სასტიკი ღონისძიებანი იქმნებიან მიღებულნი“.

◆ გუშინ ვწერდით, რომ ბატონმა ზუბალაშვილმა შუამდგომლობა აღძრა რუსულ **გაზეთის „ზაკავკაზიე“**-ს გამოცემის შესახებ. კავკასიის ნამესტნიკმა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა ეს შუამდგომლობა უკვე შეიწყნარა და ნება დართო ბ-ს ი. ზუბალაშვილს, გამოსცეს ხსენებული გაზეთი.

◆ ამას წინად, როგორც უკვე ვწერდით, სოფ. ხოვლეში (ქართლი) **გლეხებმა თავად-აზნაურთა ტყეები ასჩეხეს**. ეხლა ადმინისტრაციას ტყის გაჩეხის გამო გლეხებისთვის ფული შეუწერია. ეს ამბავი ეხლა ხან გამოუცხადებია მაზრის უფროსს. ფული შეეწერა ხოვლეს, მეტეხს, სასირეთს, დუის და ხანდაკს. როგორც ამბობენ, ამ სოფლის გლეხებმა ოთხასი თუმანი უნდა გადაიხადონ.

◆ ტფ. ქალაქის მოურავმა **ნახიჩევნის მაზრიდან** ჩანაბადის ქარხნის პატრონების სარქისოვებისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო. „ჩანაბადის სამამასახლისოს სომხთა სოფლებს ორი დღეა თათრები არტყიან. დაიწყო რბევა და ძარცვა მცხოვრებთა. გთხოვთ, რითაც შეიძლება, დახმარება აღმოუჩინოთ, თორემ ბევრი სისხლი დაიღვრება მით უმეტეს, რომ პოლიცია მცირე რიცხვოვანია და ძალიან შორსაც არის. შესაძლებელია უფრო მეტი უბედურება.“ მოურავმა ნაფიც ვექილის ალამიროვისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „ზემო აკულისის სომხნი გევედრებიან, ღვთის გულისათვის იშუამდგომლეთ კავკასიის ნამესტნიკის წინაშე საჩქაროდ აღმოგვიჩინოს რამე დახმარება და დაგვიხსნას თათრების ხელისაგან, რომელთაგან მოსალოდნელია თავდაცემა, რბევა, ძარცვა და ხოცვა-ჟლეტა. სოფლები გლა, არონი და მისიუოგონი აკლებული და დარბეულია“.

◆ როგორც **ნახიჩევანიდან გვატყობინებენ**, 16 მაისიდან დაწყებული თვით ნახიჩევანში, რკინის გზის ლიანდაგზე და ახლო-მახლო სოფლებში სიმშვიდე იყო, თუმცა ხალხი ძალზე შეშინებულია. ერთ ადგილას ორი ეკლესია გასტეხეს და გაძარცვეს.

◆ როგორც უკვე ვწერდით, ტფ. ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთ **დეპეშა გაუგზავნეს ბაქოს ქალაქის** მოსამსახურეთ და თანაგრძნობა გამოუცხადეს იმ ამბის გამო, რომელიც 10 მაისს ადგილობრივ საბჭოში მოხდა. გუშინ ტფ. მოსამსახურეებმა უკვე მიიღეს ბაქოდან მადლობის დეპეშა.

◆ **ფოთიდან სწერენ** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს, რომ იქ 13 მაისს „რუსეთისა“ და „როსიის“ სანაოსნო საზოგადოების დამტვირთველმა გურულებმა თავი დაანებეს მუშაობას, რადგან დამტვირთველი მეგრელები ბეჯითად სთხოვდნენ, ერთ და ერთ ზემოხსენებულ საზოგადოებათა გემები ჩვენ დაგვითმეთ დასატვირთავადო. როგორც ამბობენ, მაშინ მიმართეს მეგრელებმა გურულებს, როცა სააგენტოებმა მოუმატეს მუშების ქირასაო. ამ არაჩვეულებრივ საქმის გადაწყვეტა თვის დამლევამდის გადაიდო. მუშაობა განახლდა. ფიქრობენ, გურულები იძულებულნი გახდებიან, მხოლოდ რუსეთის საზოგადოების გემებზე იმუშაონო.

◆ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით **ფოთში მაგარ სასმელების დუქნები** იღება დილის 8 საათზე და იკეტება საღამოს 8 საათზე.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მიწერილობანი დაუგზავნა პოლიცმეისტერსა და მაზრის უფროსებს და დაავალა, როცა ვისმეს **მთავრობის გადაწყვეტილებანი** ეცხადება, დაწვრილებით აცნობეთ ხოლმე რა მოსაზრებით, რა საფუძვლით ხელმძღვანელობდა მთავრობა, რომ საქმე ასე გადაწყდა და არა სხვა გვარათო.

◆ მთავრობამ გადასწყვიტა მოაწყოს **საავტომობილო მიმოსვლა ნოვოროსისკსა და სოხუმს შორის.**

◆ როგორც გვატყობინებენ, 17 მაისს **დასჭრეს ცხინვალის ბოქაული ამათუნი.**

◆ გუშინ უკვე აღვნიშნეთ **ფოსტის გაძარცვის** ამბავი თიანეთის გზაზე, ძალიანთან. სამაზრო ადმინისტრაციის გამოძიებით, საქმე ასე მომხდარა: ფოსტას მისდევდა ფოსტალიონი კაზაცკი და დარაჯი ს. სტანევიჩი. გლდანში ჩასულან 9 საათზედ; აქედან გაჰყოლია მეეტლე ასტურ აბაზოვი. როცა ფოსტა მოახლოვებია მშრალ ხევს, ხრამიდან ორჯელ გავარდნილა თოფი, მაგრამ არავის არ მოხვედრია. შემდეგ სამჯერ კიდევ უსროლიათ. ერთი ტყვია მოხვედრია ფოსტალიონს კაზაცკის და გადმოვარდნილა, მეორე ტყვიით მოუკლავთ დარაჯი სტანევიჩი, მესამე ტყვიით კიდევ ცხენი. ამ საფარიდან ამოვარდნილა ასე 20 წლის ყმაწვილი და რევოლვერით მძიმედ დაუჭრია მეეტლე აბაზოვი. შემდეგ აუხსნიათ საფოსტო აბგა და წასულან. ცოტას ხანს შემდეგ გაძარცვულ ფოსტას თავს წასტეხია თიონეთიდან დაბრუნებული მიწის მზომელი ანდერსი, რომელსაც კაზაცკი ცოცხალი დახვედრია და სადგურ გლდანში წაუყვანია, მაგრამ გზაზედ გარდაცვლილა. წაუღიათ სახაზინო რევოლვერი, ბერდანა და ნივთები. პოლიციას აბგა უპოვნია; წერილები მინდორში გაფანტული უნახავს. აღმოჩნდა, რომ ფოსტით მიჰქონდათ 19 მან. 55 კაპ. მარკები და საპიორთა ბრიგადის ჯარის კაცის ტროცკოსათვის 1 მან. თიანეთში. გამძარცველთ 1 მან. და 3 ხუთკაპეიკიანი მარკა წაუღიათ, დანარჩენი იქვე მიუტოვებიათ. მიწის მზომელმა ანდერსმა განაცხადა, კაზაცკიმ მითხრა, 9 შეიარაღებული კაცი დაგვეცაო. მეეტლემაც ესევე განაცხადა და სთქვა, ბოროტ მოქმედთ თავებზე ყაბალახები ჰქონდათ შემოხვეული და იმერლებსა ჰგავდნენო.

◆ გუბერნატორმა დაამტკიცა ტფ. ხელოსანთა საზოგადოების **სამარხ კასსის წესდება.**

◆ დღეს, 19 მაისს, მოხდება ტფილისის ქალაქის **საბჭოს კრება.**

◆ როგორც ვწერდით, 11 მაისს მოხდა ტფილისის ტრამვაის **მოსამსახურეთა კრება.** კრებამ აარჩია სამედიატორო სასამართლოს წევრები-კი არა, როგორც მაშინ ვწერდით, არამედ საამხანაგო სასამართლოს წევრები. რადგან გვარები არეული გვქონდა, მოგვყავს ეხლა სრულად: კონდუქტორებისაგან—კოზელსკი და ზუბიაშვილი, კანდიდატად გორინი; ვაგონების დამტარებელთაგან—ერთიაშვილი და ბიჩკოვი, კანდიდატად დამკოვი; კონტროლერებისაგან—აილაროვი, კანდიდატად კოლბიკოვი, სადგურის უფროსთაგან—თავ. ფალავა, კანდიდატად საბანაძე; ყარაულებისაგან—თანდილაშვილი, კანდიდატად ამიროლოვი; საელექტრონო სადგურის მოსამსახურეთაგან—მერგისტორი, ზაიდა და პეპიფი, კანდიდატებად გიორგობიანი, შანცი და ცაბახი. საამხანაგო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი გიგიბერია, ხოლო მდივნად—ბ-ნი ხიკულინი.

◆ 15 მაისს საკრებულოს საზაფხულო სადგომში უნდა გამართულიყო **სეირნობა უფასო სასადილოს სასარგებლოდ**, მაგრამ ვერ გაიმართა და გადაიდო 19 მაისისათვის. სეირნობა ხსენებულ სადგომში გაიმართება ძველისავე პროგრამით.

◆ 20 მაისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს დარბაზში დანიშნულია კრება რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის ყოფილ მოსწავლეთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება სატეხნიკო სასწავლებლის საშუალო სასწავლებლად გადაკეთებისა შესახებ.

◆ წელს ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა თხუთმეტმა კაცმა. მათ შორის ნახევარზე ქართველია: აბდუშელი მიხეილ, ასათიანი გიორგი (მიიღო ოქროს მედალი), გომელაური მიხეილ, დეკანოზიშვილი გიორგი, ზდანოვიჩი ევგენი, მაჩაბელი გიორგი, მირზაშვილი გიორგი, ნაზარაშვილი ლეონიდ, ნათაძე გიორგი, ოქროპირიძე ალექსანდრე, ოცხელი ალექსანდრე, ქარაველიშვილი ვახტანგ, ქიტიაშვილი ზაქარია, ხიდირელიშვილი ვასილ, ხხეიძე ნიკოლოზ, ჯორჯაძე იოსებ და ურასხოხაშვილი ვიქტორ. ამათ გარდა ექსტერნად იჭერდნენ გამოცდას და მიიღეს ატესტატები შემდეგმა ქართველებმა: ფალავანდიშვილმა ნიკ., კლიმიაშვილმა ზაქ., ალიშიარაშვილმა ნიკ., ცაგარელმა ალექს., კეკელიძემ მიხ., იოსელიანმა კონს., ლორთქიფანიძემ სვიმ. და ხაზარაშვილმა გალდ.

◆ გუშინ, 18 მაისს, გათავდა ეგზამენები ტფ. სათ.-აზნ. სასწავლებელში. წელს კურსი სულ 8 მოსწავლემ დაამთავრა: გ. ბარათაშვილი, გ. თარხნიშვილი, ზ. ფარუმაშვილი, ა. ბექსაძე, კ. ხუსაძე, გ. ხეციშვილი, გ. ფალავანდიშვილი და გ. ჯეჯელია. ესენი სულ საზღვარ გარედ გაემგზავრებიან. ამას გარდა ამავე სკოლის მოსწავლეებიდან პირველ გიმნაზიაში ეგზამენი დაიჭირეს: მ. მაჭავარიანმა და დ. ასათიანმა; 2 გიმნაზიაში: მ. გუგუშვილმა, ა. ცაგარელმა და კ. ადამიაშვილმა.

◆ ს. რუისი. 13 მაისს ორმა კაცმა დათა ბადიაშვილმა და პავლე სვიანაძემ, მოჰპარეს თავიანთ მეზობელს ქათმები. აღმოჩენილმა კაცებმა აჰკიდეს ქათმები ორივეს ჩააკიდეს ხელი ხელს და სოფელში რამდენჯერმე ატარ-ჩაატარეს, თან პირში აფურთხებდნენ და ძალა უნებურად აძახებინებდნენ, ჩვენა ვართ ქათმების ქურდებიო. ეს ამბავი რუისის წინ უბანში მოხდა.

◆ მარტის ბოლო რიცხვებში იგდირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას მოსკოვიდან დეპეშა მოსვლია ვიღაც ავეტიქ სუხანიანცისთვის 500 მანეთის გადაცემის შესახებ. ფული მიუციათ. ეხლა გამოირკვა, რომ დეპეშა ყალბი იყო და შეუდგენია კანტორის უკვე დათხოვნილ ფოსტალიონს ევ. კოსტრიკს. სუხანიანცს უთქვამს, ფული მიღებისთანავე გადავეცი კოსტრიკსაო. გამოძიება სწარმოებს.

◆ სად. ქობულეთი. ვიღაცეებმა მე-7½ ვერსზე, საღამოს 5 საათზე, დასდეს ლიანდაგზე შპალები, მაგრამ მემანქანემ შეამჩნია და დროზე შეაჩერა მატარებელი.

◆ ლიხაურის ორკლასიან სკოლის ზედამხედველი ბ-ნი ბ. მენაბდე და კომიტეტის წევრნი გვთხოვენ დავბეჭდოთ: „თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესს მადლობას ვუცხადებთ როგორც ჩვენის, ისე მთელის ლიხაურის საზოგადოების მხრივ ანტონ ნიკოლოზის ძე თოიძეს, რომელმაც შემოსწირა ლიხაურის სკოლის სამეურნეო განყოფილებას ასი მანეთი“.

◆ 17 მაისს, საღამოს 9 საათზედ, არსენალის ქუჩაზედ ტფილისის მცხოვრები ანნა პეტრიაშვილი თავის ბინაზედ, ბებუთით მძიმედ დასჭრა ტფ. მოქალაქემ მიხეილ ჭოლოშვილმა. დაჭრილი ქალი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. ჭოლოშვილი დააპატიმრეს.

◆ დღეს, 19 მაისს, სახელოსნო გამგეობის სადგომში მოხდება კრება წყლის გამყვან სახელოსნოებისა და ლამპის მაღაზიების პატრონებისა, რომელთაც უნდა განიხილონ წინადადებანი ამ სახელოსნოებში და მაღაზიებში მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

◆ 17 მაისს „კახეთის“ ამხანაგობის კანტორაში, ვერის ხიდზე, ვიღაცა შეპარულა და 50 მ. გაუტანია.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ეგზამენები დასრულდა 16 მაისს. წელს სწავლა დასრულა 10 კაცმა. პრაქტიკული მუშაობა სკოლაში 10 ივნისამდე გაგრძელდება.

სომეხ-მაჰმადიანთა შეტაკებისა გამო

17 მაისს, საღამოს, ქალაქის საბჭოში მოხდა კრება, რომელსაც დაესწრნენ ტფილისში მცხოვრები მაჰმადიანი, სომხები, რუსები და ქართველები. კრების საგანი იყო იმ საკითხის განხილვა, თუ რა ზომებს უნდა მიმართონ, რათა ტფილისშიაც არ გამწვავდეს სომხებსა და მაჰმადიანებს შორის დამოკიდებულება, ერევნის გუბერნიაში მომხდარ სისხლის ღვრით გამოწვეული.

საბჭოს კრებას, სხვათა შორის, დაესწრო ტფილისის პოლიცმეისტერი და დარბაზის კუთხეში იჯდა. თავმჯდომარემ, ქალაქის მოურავმა მიმართა მას შემდეგის სიტყვებით: დარწმუნდით თუ არა, რომ ნამესტნიკის ბძანება ასრულებულ იქნაო. (ე. ი. განკარგულება, რომ კრებაზე მოწვეულთა გარდა სხვა არავინ შეუშვან). დაკმაყოფილდით, უპასუხა პოლიცმეისტერმა, წამოდგა და გარეთ გავიდა.

ორატორები იმ აზრს ადგნენ, რომ ტფილისში არავითარი მტრობა არ არის სომხებსა და მაჰმადიანებს შორის. არ ყოფილა მტრობა იქაც, სადაც ამ ჟამად საზარელი სისხლის ღვრაა. ერთმა დამსწრეთაგანმა სთქვა, ნახიჩევანის „მახლობელ სოფლიდან გამოქცეული ერთი სოფელი გნახე, აქ ტფილისში ხამოსულდი, რომელმაც მითხრა, ჩვენი სოფელი სრულებით არ მოელოდა თავდასხმას, ფიქრადაც არ მოსვლოდა და საზარელ რისხვად დაეცა თავს ეს ამბავიო. გამოითქვა ის აზრი, რომ სომხებსა და მაჰმადიანებს შორის რაღაც ბნელი ძალები დაძრწიან და სთესვენ შუღლსა. ყველანი გულით მოწადინებულნი არიან ყოველი ღონე იხმარონ, რათა თავიდან მოიშორონ მახლობელი მრისხანე აზრდილი. ერთმა ორატორმა წინადადება გამოსთქვა, საშუამავლო, სამედიატორო სასამართლო უნდა ამოვარჩიოთ, რომელსაც დაევალება გამოიძიოს ყოველი შემთხვევა სომხებისა და მაჰმადიანებს შორის მტრობის ჩამომგდები. ამით შეიძლება ავიცდინოთ თავიდან ცხელათა ღელვა, საქმის გამწვავება. ზოგი დამსწრე დაეთანხმა ორატორს, მხოლოდ იმ შენიშვნით, რომ სამედიატორო სამართალი მთავრობის მიერ უნდა იქნას ცნობილი და დამტკიცებული, რათა მეტი გავლენა მოიპოვოს ხალხში. წინადადებამ კამათი გამოიწვია. [illegible] ის აზრი გამოსთქვა, რომ სამედიატორო სამართალმა სხვაგანაც ვერაფერი გაწყო და იმ დროს, როცა იგი საქმეს არჩევდა, ქუჩაში სისხლის ღვრა გახშირდაო. ორატორებმა ის აზრი გამოსთქვეს, საჭიროა ტფილისში მცხოვრებ სხვა-და-სხვა ერების წარმომადგენელთაგან არჩეულ იქნას კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს სომხებსა და მაჰმადიანთა შორის ჩამოვარდნილ მტრობის მიზეზები, მოწოდებით უნდა მიმართოს ხალხს, რათა აუხსნას, რა საზარელი შედეგი მოსდევს ამ მტრობას.

თანამედროვე წეს-წყობილება და იმისაგან გაჩენილი უვიცობა, გონების სიბნელე, გაჭირვებულ, მშიერ-მწყურვალ ხალხის ისეთი მდგომარეობა, როცა იგი დღითი დღე ძლივს იკვებება, ჭაპან-წყვეტით გამოაქვს თავი და არსაიდან არავითარი შველა არა სჩანს,—აი ნიადაგი იმ ბნელ ძალთათვის, რომელნიც ძმათა შორის აჩენენ. პირველი და ძირითადი საგანი, რომელსაც უნდა მიაქციოს მთელი თავისი ძალღონე ხალხის მოწინავე ნაწილმა—ამ უპირველეს მიზეზთან ბრძოლაა. ამას გარდა კიდევ ჰუმანიურ გრძნობის გაღვიძება ხალხში სიტყვით, წიგნით, ზნეობრივ ცხოვრების მაგალითით: აი ის ნათელი ძალა, რომელიც სძლევს წყვდიადს, თვალს აუხელს ხალხს, ნათლად დაანახვებს, რომ ადამიანები მკვიდრი ძმები არიან, ერთი ბუნების შექმნილნი, ერთგვარად შობილნი, ერთად სიკვდილის კარამდე მიმავალნი, და მხოლოდ უვიცობა უშლის ადამიანს ნათლად შეიგნოს, რომ ამ წუთი სოფლის გზაზე ერთობა, ძმობა ყველასთვის ხელსაყრელია, რომ სამარისკენ მიმავალთა მტრობა, ერთურთის კვლა, ცხოვრების მოსპობა საზიზღარი და საზარელი საქმეა.

უვიცობა გულსაკლავი შედეგია ხალხის უსახსრობისა, დაუსრულებელ ჭაპან-წყვეტა სიღარიბისა. საერთო მოძრაობა ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხალხისათვის მიწა-წყლის, ცხოვრების სახსრის მისანიჭებლად — უპირველესი საშუალებაა უვიცობის გასაფანტავად: იგი ყელში გასწვდება დაჩაგრულ მუშაკს. დღეს იგი თავ-ჩაღუნული თავის ერთ ნამცეცა მიწას შესტირის, სისხლის ოფლსა ღვრის და ძლივს გამოაქვს დედამიწიდან მცირე ლუკმა თავისი ცოლშვილის საცოდაობით გამოსაკვებად. ცხოვრების ულმობელ წეს-წყობილებით დაჩაგრულ მუშაკს ადვილად მოერევა ბნელეთის მოძღვრება. იმას არ შესწევს იმდენად ზნეობრივი ძალ-ღონე, იმდენი გონიერება, რომ გაუმკლავდეს ამ მრის-

---

ინტერესი მთელისა სცდილობს გაბატონდეს კერძო ინტერესზე, ინდივიდის ინტერესზე; ამიტომაც არის, რომ ნებაყოფლობით, თავისუფალი კავშირი უნდა შეეცვალოს იძულებით კავშირად, რომელიც ყველას ავალებს საერთო ინტერესების სამსახურს. დღეს განათლებულ ქვეყანაში ერთიც არ მოიძებნება ისეთი, რომელიც თანახმა არ იყოს, რომ სახალხო განათლება მთელის ხალხის მიერ დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილებაა და რომ სასკოლო განათლება შეიძლება იყოს მხოლოდ ეროვნული. როგორც სახალხო განათლება, ისე ბევრი სხვა რამ არის, რაც ერის კოლლექტიურ ინტერესის საგანს შეადგენს.

ვინც ფიქრობს, რომ ერი მხოლოდ კრებაა ერთგვარ ინდივიდებისა, ხეებს ხედავს და ტყეს არა; ერი ორგანული ერთეულია; და თუ ერს არა აქვს თავის ფიქრისა და ნების გამომხატველი სახელმწიფო ორგანოები (დაწესებულებანი), მასში მუდამ ცხოველია ღრმად ფესვ-გადგმული მისწრაფება — ერი ვართ და სახელმწიფოც უნდა გვქონდესო. ეს მისწრაფებაა, რომ ტანში უდის ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილ პოლონეთს, იგი არის უკვდავი სული იტალიის, დაქრობილი ცეცხლი ცხოვრებას დაწაფებულ საფრანგეთისა.

„ყოველ ერის მოწოდება და უფლებაა საკუთარი სახელმწიფო შექმნას. რამდენ ერისაგან შესდგება კაცობრიობა, ქვეყანაც იმდენ სახელმწიფოდ უნდა იქნეს დაყოფილი: ყოველი ერი სახელმწიფო უნდა იყოს და ყოველი სახელმწიფო ერთის ერისაგან შესდგებოდეს“-ო, ამბობს ბლუნჩლი, და არც ერთი ერი არ იქნება თანახმა, რომ ეს თანდაყოლილი, ბუნებრივი უფლება საკუთარ სახელმწიფოს შექმნისა გასცვალოს ისეთ უბრალო რამეზე, როგორც პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფაა. ეროვნულ-პრობლემის სრული არ ცოდნაა, როცა ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს მხრივ საკმარისია, თუ ინდივიდს ენის და თავისებურობის დაცვის უფლებას მიანიჭებს. ყოველ ერს აქვს აღმოუფხვრელი მისწრაფება ერთი მთელი იყოს და თავის მეტი სხვა ბატონი არავინ ჰყავდეს; თუ უფლებრივ არც ერთ მთელს წარმოადგენს და ბატონიც ჰყავს, პოლიტიკურ ბრძოლის გზას ადგება, რომ ამ ბრძოლით, პოლიტიკურის ძალით მიაღწიოს ამ მთლიანობასა და ავტონომიას.

ეროვნულ პრობლემის ახსნა ინდივიდუალურ-ცენტრალურ საფუძველზე ყოვლად შეუძლებელია. ეროვნული ინტერესი მთელის ერის ცხოვრების წარმონაშობია და ინდივიდს, რაც არ უნდა უფლებით აღჭურვოთ იგი, არ შეუძლია ამ ინტერესის დაკმაყოფილება; ამ უფლებათა ნამდვილი მოხმარება, გამოყენება ცხოვრებაში შეუძლია მხოლოდ იძულებით კავშირს. ერისთვის აუცილებელია კოლექტიური ორგანიზაცია, ისე თავის მოთხოვნილებებს ვერ დაიკმაყოფილებს და ეს კოლექტიური ორგანიზაცია უნდა იქნეს იძულებით კავშირის ხასიათისა, ე. ი. ერისთვის თავის ინტერესების დასაცველად და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია სახელმწიფოებრივი პრეროგატივები.

ვ. ლ.

ხანე ძალებს, მიეცით იმას უფლება, გააუმჯობესოთ იმისი ცხოვრება, ეცადენით შემოდით აცდინოთ, და ნაწილად დაინახავთ, როგორ გულ-მოდგინედ გამოიკვლევს იგი ჭეშმარიტებას, ცხოვრების მიზანს, როგორ ადრე მიხვდება, რომ იმისი დაუძინებელი მტერი უდანაშაულო, მასავით ღარიბი მეზობელი მუშაკი კი არ არის, ის კაცი კი არ არის, რომელიც მასთან ერთად ერთ ტაფაზე იწვის, არამედ ულმობელი წესწყობილებაა და სიღარიბით აღზრდილი უვიცობა, გონების უსინათლობა.

ერთმა დამსწრე მაჰმადიანმა გამოსთქვა სამართლიანი აზრი, რომ დღევანდელი წესწყობილება ყველგან მდიდრებს ანიჭებს უპირველეს ადგილს და ერთ და ერთ ერის გაბატონებული მდიდრები მე ერისადმი მძულვარებას უღვიძებენ დაბალ ხალხს.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, წარმომადგენელნი მაჰმადიანთა და ერთ ჯგუფ ქართველთა, რუსთა და სომეხთა, 17 მაისს ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით შევიკრიბენით ქალაქის საბჭოს დარბაზში და, ღრმად შეწუხებულნი ნახიჩევანის მაზრაში მომხდარ სამწუხარო და გამანადგურებელ ამბების გამო, ვუცხადებთ მხურვალე თანაგრძნობას უაზრო მტრობის მსხვერპლთ. გარდა ამისა შეკრებილნი თვის წმინდა მოვალეობად სცნობენ განაცხადონ, რომ მაჰმადიანთა და სომეხთა შორის ასეთის მტრობის დასაბადებლად არავითარი მიზეზები არ არსებობს და გამოსთქვამენ გულწრფელად სურვილს, რომ კავკასიის სხვა და სხვა ტომის ხალხნი არ დაუჯერებენ ბოროტების განზრახვით აღჭურვილ ბნელ ძალებს, რომელნიც ავრცელებენ მათ შორის სხვა და სხვა საშუალებით მტრობასა და შეერთდებიან ერთს მშვიდობიან და კულტურულ ნიადაგზე სამშობლო ქვეყნის სასარგებლოდა და სასიკეთოდ. რომ ასეთს ერთობას მკვიდრი საფუძველი დაედვას, საჭიროდ ვსცანით ამორჩეულ იქნას კომისიაში ხუთ-ხუთი კაცი თითო ერისაგან, რომელ კომისიასაც უნდა დაევალოს ყოველივე საშუალება იხმაროს და იმოქმედოს მცხოვრებლებზე, რომ თავიდან აცილებულ იქნას კავკასიის სხვა კუთხეებშიაც ისეთი სამწუხარო მოვლენა, როგორიც ნახიჩევანსა და მის გარემო სოფლებში მოხდა".

ომში დაჭრილ ქართველ სალდათის თავგადასავალი.

გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა მანჯურიაში, ხაიჩენის ბრძოლაში დაჭრილი ახალგაზრდა სალდათი, მეგრელი დიმიტრი შელეგია. 23 წლის უმაწვილი კაცი მარჯვენა ხელს ვერ ხმარობს—მხრის ძვალი აქვს გატეხილი, მარცხენა ფეხით კოჭლობს: ყუმბარის ნატეხით, შრაპნელით დაუჭრიათ. ყელიდან გარკვეულ ხმების მაგიერ რაღაც ხრიწიანი, გაუგებარი ხმა გამოსდის, რადგან ყელიც ყუმბარის ნატეხითა აქვს დაშავებული. უმაწვილი კაცი სამუდამოდ დასახიჩრებულია, შრომის უნარი დაკარგული აქვს და მოწყალებით უნდა იცხოვროს სიკვდილის დღემდის. დღემდის მხოლოდ საზარელი ამბები მოგვდიოდა ბრძოლის ველიდან, დღეს კი ახალგაზრდა შელეგია ხორცშესხმული, საზარელი ამბავია, ბრძოლის ველიდან ჩვენ თვალწინ გამოცხადებული.

შელეგიას სიტყვები გულს აგიჩუყებთ, თვალში ცრემლს მოგგვრით. მწუხარე, აღელვებულის ხმით გიამბობთ იგი, როგორ გაიქცა ზარდაცემული ბრძოლის ველიდან; გაიქცა, რადგან მთელი იმისი პოლკი საშინლად დამარცხდა და გაიფანტა. შელეგიამ პირველად ვერც კი შენიშნა, რომ ფეხში დაჭრილი იყო. ჭრილობა, რომელიც შემდეგ გაუმიზეზდა და დააკოჭლა, პირველად მსუბუქი იყო და გაქცევას არ უშლიდა. მხოლოდ მაშინ, როცა პერანგი და პერანგის ამხანაგი მთლად გაუსისხლიანდა და დაუმძიმდა, იგი შეჩერდა, ცოტათი სული მოითქვა, ორივე შემოიგლიჯა და ისევ გაიქცა პერანგის ამარა. სალდათის მუნდირი წინადვე გაეხადა და გადაეგდო, რათა მსუბუქად გაქცევა შესძლებოდა. ყელის და მხრის ჭრილობას ყურადღებას არ აქცევდა ახალგაზრდა სალდათი; მარცხენა ხელით მაგრათ ეჭირა თოფი და ისე მირბოდა. თოფი რომ გამეგდო ხელიდან, საშინლად დამსჯიდნენო, გვითხრა შელეგიამ, და თუმცა შიშის ზარი დამატყდა თავს, მაინც კარგად მახსოვდა ეს გარემოება და ხელიდან არ გამიშვია თოფი. დიდი მანძილი გაირბინა შელეგიამ და ბოლოს წააწყდა სადამკრეთოდ მიმავალ ერთი პოლკს, რომელსაც წინ მიუძღოდა უფროსი, პოლკოვნიკი. შელეგია მივარდა პოლკოვნიკს და შველა სთხოვა. წადი, გამშორდი!—უთხრა პოლკოვნიკმა ნახევრად ტიტველ, დაჭრილ და შიშისაგან გამშრალ სალდათს. წაიყვანე ჩქარა!—უბრძანა პოლკოვნიკმა ერთ თავის ხელქვეითს. შელეგია წაიყვანეს, ამოუჩნდნენ გულშემატკივარნი და დაჭრილების პოვოზკაზე დასვეს. მაგრამ ვაი ამისთანა შველას! პოვოზკა ურესორო იყო და საძაგლად ანჯღრევდა, აჯაგჯაგებდა საცოდავ დაჭრილ სალდათს. შელეგიამ ისევ ფეხით სიარული არჩია ამ ჯოჯოხეთურ ტანჯვას. გადმოვიდა ეტლიდან, მოსცილდა პოლკს და დიდის გაჭირვებით გაუდგა გზას, ერთ თავის ამხანაგის შემწეობით. ორი დღე ლუკმა არ ჩასვლია პირში, საშინლად შიოდა და როგორც იქნა მიაგნო ერთ ქართველ კაცს, ციმბირში გადასახლებულ ტაგუ ხურცილავას, რომელიც ჩალვადრობით ირჩენს იქ თავს. ხურცილავამ საჭმელი და ტანისამოსი მისცა, გაუმასპინძლდა, გული გაუთბო. დაჭრილმა შელეგიამ ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია წითელი ჯვრის სადგურს, სადაც სალდათებს ჭრილობებს უხვევდენ.

ყოველ მხრიდან ისმოდა ტანჯულ დაჭრილთა საშინელი ყვირილი და კვნესა. ათასზე მეტი დაჭრილი იყო თავ-მოყრილი. ექიმები, ფერშლები და მოსამსახურეები გაცხარებით მუშაობდნენ-ზოგს ოპერაციას უკეთებდნენ, სადოსტაქრო დანით სჭრიდნენ სხეულის ასოს, ზოგს ჭრილობას უხვევდნენ საჩქაროდ, რადგან მრავალი დაჭრილი უცდიდა თავის რიგს. სიჩქარის გამო ნელა ვერ აცლიდნენ დასისხლიანებულ, ჭრილობაზე მიმხმარ ჭინჭებს და ისმოდა დაჭრილთა გულსაკლავი კივილი. შელეგიაზედაც მიდგა ჯერი. ფეხი საშინლად გასივებოდა გზაში. ოცამდე ვერსი გამოვლო დაჭრილ ფეხით, სანამ წითელ ჯვრის სადგურამდე მიაღწევდა. მთელი სხეული საშინლად სტეხდა, ძლივს ინძრეოდა გამწარებული სალდათი. რაც მე ტანჯვა-წვალება გამოვიარე, როცა დაჭრილ ადგილებს მიწმენდნენ და მიხვევდნენ, ადამიანის ენით გამოუთქმელია-ო, გვითხრა შელეგიამ. ბოლოს, როგორც იქნა, შეუხვიეს მხარი, ფეხი და ყელი და ნიკოლსკ-უსურიისკში გაგზავნეს ლაზარეთში. 6 დღე და ღამე იარა შელეგიამ რკინის გზით, სანამ ადგილამდე მიაღწევდა. გზაში შეხვეულ ჭრილობების გახსნა შეუძლებელი იყო. იარები ბალღამით ავსო, ცხარე ტკივილები სტანჯავდა, ღამე თვალებს ძილი არ ეკარებოდა. მთელი 6 დღე მგზავრობა—დაუსრულებელი ტანჯვა იყო საბრალო სალდათისათვის.

ნიკოლსკ-უსურიისკში ორ ნახევარი თვე ამყოფეს შელეგია საავადმყოფოში. სამოთხედ მეჩვენა „ლაზარეთი" განვლილ ჯოჯოხეთს შემდეგ. კარგი მოვლა, კარგი და საკმაო საჭმელი, გულ-მტკივნეული, მოწყალების დები—ყველა ეს ნეტარება იყო ტანჯულ სალდათისათვის. როცა ჭრილობები მოურჩა, შელეგიას მკურნალთა კომისიამ გასინჯა, დაამტკიცა, რომ მას შრომის უნარი დაკარგული აქვს, ჯარში აღარ ივარგებს, და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს.

დაბრუნდა შელეგია თავის სახლში, სენაკის მაზრაში. თავისიანები საბრალო უფაში დახვდნენ. ფარდაფარდა, ისლით გადახურულ ქოხში იწვა იმისი დავარდნილი, კუტი დედინაცვალი და სოფელში დარბოდნენ შელეგიას 4 პატარა და-ძმები და გულ-მტკივნეულ მეზობლების მოწყალებით იკვებებოდნენ. შინ ერთი გირვანქა მჭადიც არ დახვდა. ძალ-დაკარგულმა სალდათმა, როგორც იქნა, შეაგროვა გზის ფული და ტფილისში ჩამოვიდა ნამესტნიკთან პენსიის სათხოვნელად. აქ უთხრეს, თვეში სამ მანეთს დაგინიშნავენო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენის გაზეთის „ცნობის ფურცლის" საშუალებით ჩვენ, თელავში მცხოვრებთ, უგულითადესი თანაგრძნობა გამოვუცხადოთ პატივცემულს მოხუცს—იასონ გელოვანს საყვარელ შვილის შამშეს დაკარგვისათვის, რამაც ჩვენში დიდი გულის ტკივილი გამოიწვია და გვხდის მოვალედ იმ გვარ საქმის მსხვერპლი, რომლის გულისთვისაც ახალგაზრდა შამშე ეწამა, არ დავივიწყოთ და მარად ხსოვნაში ვიქონიოთ. გახსოვდეთ, ბ-ნო იასონ, რომ თქვენი შვილი შეეწირა მსხვერპლად განმათავისუფლებელს საქმეს. იცოდნენ იმის სისხლის დამქცევლებმა—გარდაფხაძეებმა, რომ ყოველი პატიოსანი ადამიანი, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, არ დაივიწყებს და მუდამ ზიზღით მოიგონებს მათ საქციელს. ვგმობთ და ზიზღს ვუცხადებთ შამშე გელოვანის მკვლელთ და მათი აზრის მიმდევართ:

კოტე სეხნიაშვილი, ვანო პაატაშვილი, ქეთო ზარაფიშვილი, ტრიფონ ბააკაშვილი, ვ. ედილაშვილი, ილია ზარაფიშვილი, ელისაბედ ერისთავი, ვერა ერისთავი, ესტატე პაატაშვილი, ილიკო მურვანიძე, ვასილ კურდღელაშვილი, არჩილ იაკაშვილი, თედო ბოსიკაშვილი, მიშა ქლენტი, გ. ხირსელი, ან. ჭავჭავაძე, ელ. ჭავჭავაძე, თამარა აბაშიძე, ლიზა ქართველიშვილი, ა. გაჩეჩილაძე, ა. ჭულაშვილი, გიორგი კურდღელაშვილი, სოფიო ზარაფიშვილი, ნ. რცხილაძე, ელ. მაჭავარიანი, თელავის საზ. ბიბლიოთეკის გამგეობა, თამარ ბარნოვისა, ილ. ბარნოვი, ვასილ როინაშვილი, სერგო გოჩეიშვილი, ეკატერინა ნასიძე, ანნა ყიასაშვილი, ქრისტ. ზარაფიშვილი, ვანო მოსიაშვილი, კოტე ხირსელი, გეურქ მამუკოვი, ზაქ. სეხნიაშვილი, ნინო გამყრელიძე, გ. შიუკაშვილი, თ. შიუკაშვილი, ციალა ჩოლოყაშვილი, თამარ ყაზახაშვილი, ელენე შატბერაშვილი, გიორგი ჩაჩუა, ვალენტინა ჩაჩუა, სოფიო ნარეკლიშვილი, ქ. იაშვილი, სოლომონ გოშაძე, თეკლე ცისკარაშვილი, ვიქტორ ბრეგაძე, ვასო ავალიშვილი, ფეფო ჯანდიერი, ონისიმე ქიკაძე, მელქო აჯიმამუდოვი, მოსიაშვილი გიორგი, ი. ახმეტელაშვილი, მარიამ ყარალაშვილისა, მარიამ სირბილაძე, ევგენია კურდღელაშვილი, თ. შიუკაშვილისა ზაქარია მარკოზაშვილი, ალ. ბაბუნაშვილი, ნ. მარკოზაშვილი, ე. სტეფანოვი, ნ. თევდორაშვილი, ნინო შატბერაშვილი, როსტაძესა, ელენე (გვარი ვერ გავარჩიეთ), სვირელი, ან. პაატაშვილი, ლევან ვახვახიშვილი, დანდუროვი, გ. ტერ-არუთინოვი, ირინე ქობულაძე, ანტონ კიკიანი, ნინა ქლენტისა, ლ. ვახვახიშვილისა, ავატოვი, ევანგულოვი, ყაზ. ხითაროვი, კირო გელოვანი, დათა ბურჭულაძე, დათიკო მარქაროვი, მ. სვიმონიშვილი, ა. ჩურკულაშვილი, დ. ცისკარაშვილი, კ. მარკოზაშვილი. *).

---

*) სულ ხელი უწერია 86 კაცს.

წერილები

1.

სადმელი (რაჭა). სადმელში არსებობს ფოსტა, რომელიც კვირაში ორჯელ მოდის. ეს ფოსტა გამგეს წყალობით ბევრ სარგებლობას ვერ უწევს, ხალხს ძვირადაც უჯდება. ფულიან პაკეტში, რამდენ მანეთსაც მიიღებთ, იმდენი ორი კაპეიკი უნდა გადაუხადოთ ფოსტის გამგეს, ფოსტის გამგემ თვით ჩემთან განაცხადა, ჯამაგირად 120 მანეთი მაქვს დანიშნული, მაძლევენ ცოტას, მხოლოდ ნაბრძანები მაქვს, რაც გვკლია, ხალხისაგან შეისრულეთ. ერთ მახლობელ სოფლის კაცი მოვიდა ფულის მისაღებად. მოხელემ სხვის დამოწმებით უწყება მოსთხოვა, რადგან გლეხს წერა-კითხვის არაფერი გაეგებოდა. გამგემ კონვერტი ამოიღო და გახსნა, ამოიღო ბარათი და 5 ცალი ხუთ მანეთიანი. პატრონს ხელში ჩაუთვალა 20 მანათამდის, ერთი ხუთ მანეთიანი ხელში შეიჩერა. ხურდა გაქვსო?—არ გახლავთ, ბატონოო. „აპა, წადი, ეს ხუთ მანეთიანი დაახურდავე და 62 კაპ. მე მომიტანეო" უთხრა გამგემ! მიმღებს თავზარი ეცა და დიდიხნის ლაპარაკის შემდეგ უთხრა გამგეს: სულ თქვენი იყოს, ბატონო, რადგან სიმინდის ვალზე არ გადამრჩებაო არა მგონია, რომ ეს გადასახადი—მანეთზე ორი კაპეიკი—მთავრობისაგან იყოს დაწესებული. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. **დამსწრე**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

18 მაისი.

ლონდონი, 17 მაისი. როჟესტვენსკის შესახებ აქაურ გაზეთებში სხვა და სხვა ნაირი ცნობებია მოთავსებული. „დეილი ექსპრეს"-ი იუწყება, ის გემი, რომელზედაც როჟესტვენსკი გადაჯდა, „კნიაზ სუვოროვ"-იდან ტყვედ წაიყვანეს იაპონელებმაო. ამ ცნობას დამტკიცება სჭირია. ხმებია, რომ დაატყვევეს აგრეთვე ნებოგატოვი და ფოლკერზამიო. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა ტოკიოს დეპეშა, რომელიც შეეხება იაპონელთაგან რუსის 4 გემის ტყვედ წაყვანას; იქვე ნათქვამია, 17 მაისს მაიზურუში „ორიოლი" მოვიდა და სასებოში „ნიკოლაი I", „აპრაქსინი" და „სინიავინ"-იო. ტოგო იუწყება, რუსებმა დაჰკარგეს 2 ჯავშნოსანი, ერთი ნაპირის დამცველი ჯავშნოსანი, ხუთი კრეისერი, ორი გემი სპეციალურ სამსახურისა და სამი კონტრ-ნაღმოსანიო. ტყვეთ წაიყვანეს იაპონელებმა ორი ჯავშნოსანი, ორი ნაპირის დამცველი ჯავშნოსანი, ერთი გემი სპეციალურ სამსახურისა, ერთი კონტრ-ნაღმოსანი და 2000 მეტი მეზღვაური. იაპონიის ესკადრას ზიანი არ მოსვლია.

კობე, („დეილი ექსპრეს"-ი). იაპონელების მეთევზეებს ნავებით ჩაძირულ გემებიდან გადმოსხმული რუსები მოჰყავთ. რუსები ამბობენ, იაპონელების გემებს იმიტომ არავითარი ზიანი არ მოსდიოდათ, რომ მათი ზარბაზნები ძლიერ შორს ისროდნენ ყუმბარებს და მით უშიშარ ჰყოფდნენ გემებს, ჩვენ-კი ვმარცხდებოდითო. ამიტომ იყო, რომ ჩვენ ავირ-დავირიეთ და სულ დავთარი დავკარგეთ, როცა ნაღმებით იერიში მოიტანა მტერმაო.

მოჯი, 17 მაისი (დეილი ტელეგრაფი). ტრანსპორტი „კორეია" და ნაღმიანი გემი „სვირ"-ი, რომელნიც ფუზუნში მივიდნენ, იუწყებიან, იაპონელების ერთი ჯავშნოსანი დაიწვა და ორი კრეისერი, რომელთაგან ერთი სამ-ლულიანი იყო, ჩაიძირნენ. სულ ჩაიძირა იაპონელების 8 გემიო.

ცინტაუ, 17 მაისი. (დეილი-ტელეგ.). იაპონელები აღიარებენ, რომ მათ დაჰკარგეს ორი ჯავშნოსანი, ერთი კრეისერი და 9 ნაღმოსანი.

პეტერბურგი, 17 მაისი. „რუს"-ს დეპეშას უგზავნიან ვლადივოსტოკიდან 17 მაისის თარიღით, აქ ნაღმოსანი „გროზნი" მოვიდაო. დაჭრილმა კამანდირმა ანდრეევსკიმ გვიამბო, მე უკან იაპონელების დიდი მანადგურებელი (გემი) მომდევდა და მანამდე ვესროლე, სანამ ნაღმს არ წააწყდა და არ ჩაიძირაო. „გროზნი"-ზე მოკლულია ერთი აფიცერი და სამი მატროსი. გემს ზარალი არ მოსვლია.

შანხაი, 17 მაისი. (ივინენგ-სტანდარტ). ვუზუნში მდგომმა რუსის ექვსმა ტრანსპორტმა ვალდებულება დასდეს, აღარ გავალთ პორტიდანო.

ბერლინი, 17 მაისი. „ლოკალ-ანცაიგერ"-ის ტოკიოდან მოსულ ცნობით ჯავშნოსანი „იმპერატორ ნიკოლაი I" ძლიერ დაუზიანებია ნაღმებს. მეზღვაურებს უნდოდათ აეფეთქებინათ იგი. „ლოკ. ანცაიგერ"-ს ტელეგრაფით აუწყენ შანხაიდან, აქ დღეს დილით მოვიდა დიდი მენახშირე „კორეია", რომელსაც ტყვიებით აქვს მარჯვენა გვერდი დახვრეტილიო. კორესპონდენტის აზრით შანხაიში სხვა გემებიც მიდიან. იაპონელების გამარჯვება უმთავრესად ნაღმოსნების ბრალია.

ომსკი. გაიარა ადმ. ბირილევმა.

პარიზი, 17 მაისი. გარეშე საქმეთა სამინისტრო ფორმალურად აცხადებს, ტყუილია ის ხმა, ვითომც იაპონიას მოეთხოვოს საფრანგეთის მთავრობისათვის იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მან ნეიტრალიტეტის დარღვევით მიაყენაო.

ბათუმი, 17 მაისი. კვირას დღისით ავაზაკებმა მოჰკლეს ოსმალეთის ქვეშევრდომი. ოსმალთა ბრბო ქალაქელებს მკვლელის გაცემას სთხოვს. მკვლელები მიიმალნენ.

კალიში, 17 მაისი. გაიფიცნენ 800 მეჩექმე—ოსტატი. წესიერებაა.

შუია, 17 მაისი. ფაბრიკებში გაფიცვა იწყება. გაიფიცნენ ნებურჩილოვის ფაბრიკის მუშები.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

18 მაისი

ლონდონი, 17 მაისი (საკუთ. კორესპ.). ქებას ასხამენ როჟესტვენსკის სიმამაცეს. ჰფიქრობენ, ალბად მას მეტი გზა არა ჰქონდა და იმიტომ შეხვდა მტერს სწორედ იმისთანა ადგილას, სადაც ყველაზე მეტი საფრთხე მოელოდა მასო. ახლანდელ მდგომარეობას ყველა ისე უცქერის, რომ მას ზავის ჩამოგდება მოჰყვებაო. როგორც დილის, ისე საღამოს გაზეთები ერთხმად ამბობენ, რუსის ესკადრის დამარცხების მოსალოდნელი შედეგი ზავი იქნება ალბათო. —პარიზიდან იუწყებიან, მოლაპარაკება დაუყოვნებლივ დაიწყება საფრანგეთისა და რუსის მთავრობებს შორის, მაშინ როდესაც ნიუ-იორკში აგიტაციას ეწევიან რათა რუზველტს აკისრონ შუამდგომლობა. ჟურნალ-გაზეთებს აღარ აქვთ იმედი, რომ რუსეთი შესძლებს ომის განგრძობას და ამიტომ ითხოვენ მისს შეწყვეტას.

პარიზი, 18 მაისი. ელისეის სასახლეში სადილზე ესპანიის მეფე პრეზიდენტსა და ქალბატონ ლუბეს შორის იჯდა. ლუბემ სადღეგრძელო დალია და სთქვა, საფრანგეთსა და ესპანიას შორის არასოდეს უთანხმოება არ მომხდარა, დამოკიდებულება ყოველთვის მეგობრული იყო ჩვენში და თუ ვეცდებით სამერმისოდაც მტკიცე იქნება ჩვენში კავშირიო. მეფე ალფონსმა უპასუხა, ჩემზე ძლიერი გავლენა იქონია მანიფესტაციებმა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენში ურთიერთობასო. მეფე ემუსაიფა ლუბესს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბახანაზი	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელი, მოთხრობა—შელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
სოფლის ქუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
ვაჟა-ფშაველას I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
[illegible]	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ქვანჩულისა	1 —

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—26)

მთავარი საწყობი შეშისა

ი. კურცხალიასი

ანდრეევის ქუჩა, დამოვნის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია და ვიღებთ ყოველ დღე დიდ-ძალ შეშას, სხვა-და-სხვა ღირსებისას; რცხილისას, წიფლისას, რთხმელისას, მუხისა და სხვა, მუხის დიდ-ბოძებს. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მსყიდველს შეუძლიან რკინის გზის სადგურზედვე შეიძინოს შეშა ვაგონებით, რაც შედარებით, მთავარ საწყობთან. იაფად დაუჯდება. ფასები ყველა გვარ შეშის საჟენებზე გადაპრილია. განყოფილება მთავარ საწყობისა ვერის ხიდის ყურთან, ყორღანოვის მამულში.

(90—69)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებსი ამხანაგობისა,

მკვიდრი, კაპტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

საპატრონო სახლის

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ-ის საწყობში.

ტელეფონი № 346.

ერევნის მოედანი. (60—6.—33)